

**შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“**

**ფინანსური ანგარიშგება**

*2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შინაარსი

|                                                          |      |
|----------------------------------------------------------|------|
| დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა .....                    | 1    |
| ფინანსური ანგარიშგება                                    |      |
| მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება..... | 5    |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება .....                 | 6    |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....          | 7    |
| ფულადი ნაკადების ანგარიშგება .....                       | 8    |
| ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....      | 9-48 |

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

### *მოსაზრება*

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

### *მოსაზრების საფუძველი*

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

### *სხვა ინფორმაცია ასახულია კომპანიის 2018 წლის მმართველობით ანგარიშგებაში*

სხვა ინფორმაცია გულისხმობს მმართველობით ანგარიშგებას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე ხელმძღვანელობაა პასუხისმგებელი. კომპანიის 2018 წლის წლიური ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება აუდიტორის წინამდებარე დასკვნის თარიღის შემდეგ.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება მთლიანად არ მოიცავს სხვა ინფორმაციას, მთლიანობაში, და მასთან დაკავშირებით ჩვენ არ გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას.

### ***ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე***

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

### ***აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე***

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.



ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი, რომელიც გამოწვეულია შეცდომით, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთი მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2019 წლის 30 სექტემბერი

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

### მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

### მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

### სხვა ინფორმაცია ასახულია კომპანიის 2018 წლის მმართველობით ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაცია გულისხმობს მმართველობით ანგარიშგებას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე ხელმძღვანელობაა პასუხისმგებელი. კომპანიის 2018 წლის წლიური ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება აუდიტორის წინამდებარე დასკვნის თარიღის შემდეგ.



ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება მთლიანად არ მოიცავს სხვა ინფორმაციას, მთლიანობაში, და მასთან დაკავშირებით ჩვენ არ გამოვთქვამთ რწმუნებას რამე ფორმით.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას.

### **ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.



ასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი, რომელიც გამოწვეულია შეცდომით, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.





**Building a better  
working world**

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2019 წლის 30 სექტემბერი

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

|                                                 | შენიშვნა | 2018           | 2017          |
|-------------------------------------------------|----------|----------------|---------------|
| შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული          |          |                |               |
| ხელშეკრულებებიდან                               | 7        | 286,418        | 279,151       |
| გაყიდული საქონლის თვითღირებულება                | 8        | (248,949)      | (241,781)     |
| <b>საერთო მოგება</b>                            |          | <b>37,469</b>  | <b>37,370</b> |
| რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები            | 9        | (13,689)       | (12,596)      |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები               | 10       | (11,608)       | (11,177)      |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი                      | 11       | 3,901          | 4,526         |
| სხვა საოპერაციო ხარჯები                         | 11       | (9,831)        | (8,300)       |
| <b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება</b> |          | <b>6,242</b>   | <b>9,823</b>  |
| ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები       | 18       | (6,978)        | (10,235)      |
| ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი     |          | 160            | 468           |
| წმინდა საკურსო ზარალი                           |          | (1,910)        | (880)         |
| <b>ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე</b>   |          | <b>(2,486)</b> | <b>(824)</b>  |
| მოგების გადასახადი                              |          | –              | –             |
| <b>წლის ზარალი</b>                              |          | <b>(2,486)</b> | <b>(824)</b>  |
| სხვა სრული შემოსავალი                           |          | –              | –             |
| <b>წლის მთლიანი სრული ზარალი</b>                |          | <b>(2,486)</b> | <b>(824)</b>  |

ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 30 სექტემბერს:

გენერალური დირექტორი  
მ. ჰამპელ

ფინანსური დირექტორი  
ე. ტყეშელაშვილი

თანდართული შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“


მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება


2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

|                                             | შენიშვნა | 2018      | 2017      |
|---------------------------------------------|----------|-----------|-----------|
| შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული      |          |           |           |
| ხელშეკრულებებიდან                           | 7        | 286,418   | 279,151   |
| გაყიდული საქონლის თვითღირებულება            | 8        | (248,949) | (241,781) |
| საერთო მოგება                               |          | 37,469    | 37,370    |
| რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები        | 9        | (13,689)  | (12,596)  |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები           | 10       | (11,608)  | (11,177)  |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი                  | 11       | 3,901     | 4,526     |
| სხვა საოპერაციო ხარჯები                     | 11       | (9,831)   | (8,300)   |
| საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება    |          | 6,242     | 9,823     |
| ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები   | 18       | (6,978)   | (10,235)  |
| ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი |          | 160       | 468       |
| წმინდა საკურსო ზარალი                       |          | (1,910)   | (880)     |
| ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე      |          | (2,486)   | (824)     |
| მოგების გადასახადი                          |          | -         | -         |
| წლის ზარალი                                 |          | (2,486)   | (824)     |
| სხვა სრული შემოსავალი                       |          | -         | -         |
| წლის მთლიანი სრული ზარალი                   |          | (2,486)   | (824)     |

ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 30 სექტემბერს:

  
გენერალური დირექტორი  
მ. კახელაშვილი

  
ფინანსური დირექტორი  
ე. ტყეშელაშვილი

თანდართული შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.



შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათას ლარში

|                                               | შენიშვნა | 2018           | 2017           |
|-----------------------------------------------|----------|----------------|----------------|
| <b>აქტივები</b>                               |          |                |                |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>                  |          |                |                |
| ძირითადი საშუალებები                          | 12       | 414,575        | 314,647        |
| არამატერიალური აქტივები                       |          | 5,992          | 7,382          |
|                                               |          | <b>420,567</b> | <b>322,029</b> |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>                  |          |                |                |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგები                | 13       | 46,436         | 39,576         |
| გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები           | 14       | 4,395          | 37,804         |
| სავაჭრო დებიტორული დავალიანება                | 15       | 7,535          | 7,548          |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები         | 16       | 1,139          | 7,897          |
|                                               |          | <b>59,505</b>  | <b>92,825</b>  |
| <b>სულ აქტივები</b>                           |          | <b>480,072</b> | <b>414,854</b> |
| <b>საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>     |          |                |                |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                      |          |                |                |
| საწესდებო კაპიტალი                            |          | 307,411        | 307,411        |
| გაუნაწილებელი ზარალი                          |          | (102,207)      | (99,721)       |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                  | 17       | <b>205,204</b> | <b>207,690</b> |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>             |          |                |                |
| გრძელვადიანი ანარიცხები                       |          | 456            | 994            |
| სესხები და გადასახდელი ანგარიშები             | 18       | 194,664        | 131,866        |
|                                               |          | <b>195,120</b> | <b>132,860</b> |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>             |          |                |                |
| სესხები და გადასახდელი ანგარიშები             | 18       | 10,230         | 826            |
| სხვა მიმდინარე ვალდებულებები                  | 19       | 38,427         | 45,957         |
| სავაჭრო კრედიტორული დავალიანება               | 20       | 31,091         | 27,521         |
|                                               |          | <b>79,748</b>  | <b>74,304</b>  |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                      |          | <b>274,868</b> | <b>207,164</b> |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b> |          | <b>480,072</b> | <b>414,854</b> |

თანდართული შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

|                                                        | საწესდებო<br>კაპიტალი | წილების<br>გაერთიანების<br>შედეგი | გაუნაწი-<br>ლებელი<br>მოგება | სულ            |
|--------------------------------------------------------|-----------------------|-----------------------------------|------------------------------|----------------|
| <b>2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>             | <b>31,778</b>         | <b>77,858</b>                     | <b>(98,897)</b>              | <b>10,739</b>  |
| საწესდებო კაპიტალის გაზრდა<br>(მე-17 შენიშვნა)         | 197,775               | –                                 | –                            | 197,775        |
| წლის (ზარალი)                                          | –                     | –                                 | (824)                        | <b>(824)</b>   |
| <b>2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>             | <b>229,553</b>        | <b>77,858</b>                     | <b>(99,721)</b>              | <b>207,690</b> |
| რეორგანიზაციის და შერწყმის შედეგები<br>(1-ლი შენიშვნა) | 77,858                | (77,858)                          | –                            | –              |
| წლის (ზარალი)                                          | –                     | –                                 | (2,486)                      | <b>(2,486)</b> |
| <b>2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>             | <b>307,411</b>        | <b>–</b>                          | <b>(102,207)</b>             | <b>205,204</b> |

თანდართული შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.



შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

|                                                                         | შენიშვნა | 2018            | 2017            |
|-------------------------------------------------------------------------|----------|-----------------|-----------------|
| <b>საოპერაციო საქმიანობა</b>                                            |          |                 |                 |
| დასაბეგრი (ზარალი)                                                      |          | (2,486)         | (824)           |
| <b>დასაბეგრი ზარალის წმინდა</b>                                         |          |                 |                 |
| <b>ფულად ნაკადებთან შესაჯერებელი კორექტირებები</b>                      |          |                 |                 |
| ძირითადი საშუალებების ცვეთა და გაუფასურება                              | 12       | 22,475          | 23,580          |
| არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია და გაუფასურება                     |          | 1,002           | 1,158           |
| მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი                                   | 15       | 19              | 62              |
| გადახდილი ავანსების და სხვა მიმდინარე აქტივების გაუფასურება             | 11       | –               | 223             |
| ძირითადი საშუალებების ჩამოწერასთან დაკავშირებული დანაკარგები            |          | 10              | –               |
| არამატერიალური აქტივების ჩამოწერა                                       |          | 388             | –               |
| წმინდა საკუროს ზარალი                                                   |          | 1,910           | 880             |
| ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი                             |          | 160             | 468             |
| ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები                               | 18       | 6,978           | 10,235          |
| <b>საბრუნავ კაპიტალში შესული ცვლილებები</b>                             |          |                 |                 |
| ცვლილებები სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში                               |          | (6,860)         | 2,956           |
| ცვლილებები სავაჭრო დებიტორულ ანგარიშებში                                |          | (6)             | (4,274)         |
| ცვლილებები გადახდილ ავანსებში და სხვა მიმდინარე აქტივებში               |          | 3,573           | 2,859           |
| ცვლილებები სავაჭრო კრედიტორულ დავალიანებაში                             |          | 3,032           | 7,348           |
| ცვლილებები სხვა მიმდინარე ვალდებულებებში                                |          | (471)           | (2,226)         |
| მიღებული პროცენტი                                                       |          | (160)           | (456)           |
| გადახდილი პროცენტი                                                      |          | (10,486)        | (10,796)        |
| <b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>         |          | <b>19,078</b>   | <b>31,193</b>   |
| <b>საინვესტიციო საქმიანობა</b>                                          |          |                 |                 |
| ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი                   |          | 307             | 956             |
| ძირითადი საშუალებების შეძენა                                            |          | (95,702)        | (80,895)        |
| არამატერიალური აქტივების შეძენა                                         |          | –               | (727)           |
| <b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>    |          | <b>(95,395)</b> | <b>(80,666)</b> |
| <b>საფინანსო საქმიანობა</b>                                             |          |                 |                 |
| მფლობელების შენატანები კაპიტალში                                        | 17       | –               | 197,775         |
| ნასესხები სახსრების დაფარვა                                             | 18       | (125,021)       | (276,505)       |
| აღებული სესხები                                                         | 18       | 195,603         | 132,149         |
| <b>ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>          |          | <b>70,582</b>   | <b>53,419</b>   |
| <b>წმინდა ცვლილება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში</b>            |          | <b>(5,735)</b>  | <b>3,946</b>    |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში               |          | 7,897           | 4,276           |
| სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე |          | (1,023)         | (325)           |
| <b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს</b>             |          | <b>1,139</b>    | <b>7,897</b>    |

**არაფულადი ოპერაციები**

ძირითადი საშუალებების შემოსვლები მოიცავს ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ კაპიტალიზებულ დანახარჯებს 4,241 ლარის ოდენობით (მე-18 შენიშვნა) (2017 წ.: ნული).

ძირითად საშუალებებზე გადასახდელმა თანხებმა 38,427 ლარი შეადგინა 2018 წლის 31 დეკემბრისთვის (მე-19 შენიშვნა) (2017 წ.: 45,957 ლარი). ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები ნულს გაუტოლდა 2018 წლის 31 დეკემბრისთვის (მე-14 შენიშვნა) (2017 წ.: 29,836 ლარი).

თანდართული შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

## შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

#### 1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“), საიდენტიფიკაციო ნომრით 230866435, არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული და მოქმედი იურიდიული პირი. კომპანიის იურიდიული მისამართია ყაზბეგის გამზირი #21, თბილისი, საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის ცემენტის, ბეტონისა და კლინკერის წარმოება და რეალიზაცია საქართველოში.

2016 წელს კომპანიამ დაიწყო კლინკერის წარმოების მშრალი ხაზის მშენებლობა კასპის ქარხანაში. მშენებლობის პროცესს წარმართავს ჩინური კომპანია შპს „Chengdu Design and Research Institute of Building Materials Industry CO“, ხოლო მშრალი მეთოდით გამოწვის ახალი ღუმელისთვის საჭირო აღჭურვილობა და მასალები ასევე ჩინეთიდან შემოდის.

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი იყო ნიდერლანდებში მდებარე კომპანია „CaucasusCement Holding B.V.“ („უშუალო მშობელი კომპანია“). 2018 წლის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, „CaucasusCement Holding B.V.“-ის მესაკუთრეების შესახებ ინფორმაცია ასე გამოიყურება:

ნიდერლანდებში რეგისტრირებული კომპანია

|                                                                          |                |
|--------------------------------------------------------------------------|----------------|
| „HeidelbergCement Central Europe East Holding B.V.“ (შემდგომში „HC CEE“) | 45.00%         |
| ნიდერლანდებში რეგისტრირებული კომპანია „Cement Invest B.V.“               | 45.00%         |
| ქ-ნი სვეტლანა ლამპრიანოვა-ბეჟუაშვილი, საქართველოს მოქალაქე               | 10.00%         |
|                                                                          | <b>100.00%</b> |

„HC CEE“-ის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა გერმანიაში დაფუძნებული და მოქმედი კომპანია „HeidelbergCement AG“ (შემდგომში „HC AG“). „Cement Invest B.V.“ ექვემდებარება შპს „GCF Partners“-ისა და „Hunnewell Partners“-ის ერთობლივ კონტროლს.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა მფლობელების მიერ. მფლობელებს უფლება აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებები შეიტანონ მისი გამოშვების შემდეგ.

## შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ (გაგრძელება)

##### რეორგანიზაცია და შერწყმა

2018 წლის 4 აპრილს საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანია, შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი“ (შემდგომში „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი“) შეერწყა კომპანიას. შერწყმის შედეგად ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსმა შეწყვიტა დამოუკიდებელი არსებობა.

ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსის ძირითადი საქმიანობა იყო კლინკერის და ბეტონის წარმოება და რეალიზაცია. 2017 წლის 31 დეკემბრისთვის ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსს ჰქონდა ცემენტის მშრალი მეთოდით წარმოების ერთი ქარხანა, ცემენტის თორმეტი მობილური ქარხანა და ბეტონის ორი სტაციონალური ქარხანა.

შერწყმის შედეგად კომპანიის საწესდებო კაპიტალი 77,858 ლარით გაიზარდა.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად, საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოთა გაერთიანება აღრიცხულია წილების გაერთიანების მეთოდით. ამ მეთოდის მიხედვით, მოხდა შეძენილი საწარმოების გაერთიანება უადრესი გამოქვეყნებული ბალანსის საფუძველზე ისე, თითქოს ისინი ყოველთვის მყიდველი საწარმოს ნაწილი ყოფილიყვნენ. შეძენილი საწარმოს აქტივები და ვალდებულებები შეფასებულია საბალანსო ღირებულებებით, რომლებიც შევიდა უშუალო მშობელი კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

#### 2. მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

#### 3. ფუნქციონირებადი საწარმო

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები მის მიმდინარე აქტივებს 20,245 ლარით აღემატებოდა. ხელმძღვანელობა მიზანშეწონილად მიიჩნევს ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით. ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების ადეკვატურობის შეფასებისას, კომპანია მხედველობაში იღებს შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

**3. ფუნქციონირებადი საწარმო (გაგრძელება)**

- ▶ 2019 წელს კომპანიამ დამატებითი გრძელვადიანი სესხი აიღო 24,318 ლარის ოდენობით.
- ▶ 2019 წლის ივლისში დასრულდა კლინკერის წარმოების მშრალი ხაზის მშენებლობა. ახალი ხაზის ექსპლუატაციიდან კომპანია დაახლოებით 35,000 ლარის ცვლადი დანახარჯების დაზოგვას მოელოს.
- ▶ მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული 1,768 ლარის ვალდებულებების დაფარვა კომპანიას არ მოუხდება და გაიქვითება გაყიდვებიდან წარმოქმნილ დებიტორულ დავალიანებასთან მომდენო 12 თვის განმავლობაში.

ხელმძღვანელობის აზრით ზემოაღნიშნული ინიციატივების ერთობლიობა კომპანიას უზრუნველყოფს საკმარისი ლიკვიდურობით, რომ საქმიანობა 2019 წლის შემდეგაც გააგრძელოს.

**4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა**

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდზე ვრცელდება.

**(ა) საწარმოთა გაერთიანება**

*შვილობილი კომპანიების შეძენა საერთო კონტროლს დაქვემდებარებული მხარეებისგან*

შვილობილი კომპანიების შეძენა საერთო კონტროლს დაქვემდებარებული მხარეებისგან აღირიცხება წილების გაერთიანების მეთოდით. საერთო კონტროლის ქვეშ გადაცემული შვილობილი კომპანიის აქტივები და ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აღირიცხება გადამცემი საწარმოს („წინამორბედი საწარმო“) საბალანსო ღირებულებებით გადაცემის თარიღისთვის. წინამორბედი საწარმოს თავდაპირველ შეძენასთან დაკავშირებული გუდვილი ასევე ასახულია ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ნებისმიერი სხვაობა წმინდა აქტივების მთლიან საბალანსო ღირებულებას, წინამორბედი საწარმოს გუდვილის ჩათვლით, და ანაზღაურების გადახდილ თანხას შორის, ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია, როგორც სააქციო კაპიტალის კორექტირება.

ეს ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისი რიცხვების ჩათვლით, წარმოდგენილია ისე, თითქოს კომპანიამ შვილობილი კომპანია შეისყიდა იმ თარიღით, რომლითაც იგი შეიძინა წინამორბედმა კომპანიამ.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

**4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

**(ბ) უცხოური ვალუტა**

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“) და ოპერაციები ჩაიწერება და აღირიცხება ლარში. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება ლარში, რომლის კონვერტაციაც ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სავალუტო კურსის სპოტ გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ლარის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. ფულადი მუხლების ანგარიშსწორების ან კონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმოშობილი სხვაობები ასახულია მოგებაში ან ზარალში.

არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. არაფულადი მუხლების კონვერტაციის შედეგად მიღებული შემოსულობა თუ ზარალი აღირიცხება მუხლის სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებით განპირობებული მოგებისა და ზარალის აღიარების შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოხატული არაფულადი მუხლები, რომლებიც პირვანდელი ღირებულების საფუძველზეა შეფასებული, გადაანგარიშებულია ოპერაციის დღეს მოქმედი სავალუტო კურსის შესაბამისად.

წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სპოტ სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც კომპანია თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თანხის არაერთი წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, კომპანიამ თანხის თითოეული წინასწარი გადახდისთვის ან მიღებისთვის ცალკე განსაზღვრავს ოპერაციის თარიღს.

**(გ) შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან**

მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს იმ ოდენობით, რაც შეესაბამება ანაზღაურებას, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის თუ მომსახურების სანაცვლოდ. კომპანიამ ზოგადად დაასკვნა, რომ შემოსავლებთან დაკავშირებულ თავის შეთანხმებებში იგი პრინციპალად გამოდის.

მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებულ შემოსავალთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მოსაზრებების, შეფასებებისა და დაშვებების შესახებ განმარტებითი შენიშვნები წარმოდგენილია მე-7 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (გაგრძელება)

*საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი*

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება დროის იმ მომენტში, როდესაც აქტივზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს, როგორც წესი, საქონლის მიწოდებისთანავე. კრედიტის ვადა, როგორც წესი, საქონლის მიწოდებიდან 30 დღემდეა.

გაწეული მომსახურებიდან შემოსავლის აღიარება ხდება დროის იმ მომენტში, როდესაც გაიწევა მომსახურება.

საქონლის გარიგების ფასის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების ეფექტებს, დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტების არსებობას, არაფულად ანაზღაურებას და მომხმარებლისთვის გადასახდელ ანაზღაურებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2018 და 2017 წლებში კომპანიას არ შეუთავაზებია რამენაირი ცვლადი ანაზღაურება (როგორიცაა მოცულობის გამო ფასდაკლება, დაბრუნების უფლება და სხვა) თავისი მომხმარებლებისთვის.

*საპროცენტო შემოსავალი*

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი (EIR) არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების მომავალი მოსალოდნელი გადახდების ან შემოდივნების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავლები მოგებაში ან ზარალში შედის ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში.

*საიჯარო შემოსავალი*

საოპერაციო იჯარიდან მიღებული შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე და, თავისი საოპერაციო ხასიათის გამო, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება.



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სახელშეკრულებო ნაშთები

*სავაჭრო დებიტორული დავალიანება*

დებიტორული დავალიანება წარმოადგენს კომპანიის უფლებას უპირობო საზღაურის თანხაზე (ანუ მხოლოდ დროის გასვლა აუცილებელი საზღაურის გადახდის თარიღის დადგომამდე).

*სახელშეკრულებო ვალდებულებები*

სახელშეკრულებო ვალდებულება არის მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების გაცემის ვალდებულება, რომლის ღირებულებაც კომპანიას მომხმარებლისგან მიღებული (ან მისაღები) აქვს. თუ მომხმარებელი ღირებულებას გადაიხდის კომპანიისგან საქონლის ან მომსახურების მიღებამდე, მაშინ ხდება სახელშეკრულებო ვალდებულების აღიარება, როდესაც ხდება გადახდა ან წარმოშობა გადახდის ვალდებულება (რომელიც უფრო ადრე დგება). სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება ხდება შემოსავლად მაშინ, როდესაც კომპანია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

(დ) იჯარა

*როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას*

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, ხდება იჯარის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი შესრულება დამოკიდებულია გარკვეული აქტივის (ან აქტივების) გამოყენებაზე და შეთანხმება ასახავს აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს აქტივი (ან აქტივები) მკაფიოდ არ არის მითითებული შეთანხმებაში.

*კომპანია, როგორც მოიჯარე*

აქტივის კლასიფიცირება ხდება იჯარის საწყისი თარიღით ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად. იჯარა, რომელიც გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს კომპანიას, კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად. ფინანსური იჯარა კაპიტალიზდება იჯარის დაწყებისთანავე იჯარის საწყისი თარიღისთვის საიჯარო ქონების სამართლიან ღირებულებასა და მინიმალური საიჯარო გადასახადის დღევანდელ ღირებულებას შორის უმცირესით. საიჯარო გადასახადები ნაწილდება ფინანსურ დანახარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის იმგვარად, რომ წარმოიქმნას მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დარჩენილ ნაშთზე. ფინანსური ხარჯების აღიარება ხდება ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

იჯარით გადაცემული აქტივი ცვდება მისი სასარგებლო გამოყენების მთლიანი ვადის განმავლობაში. ამის მიუხედავად, თუ ნაკლებ სავარაუდოა კომპანიის მიერ საიჯარო ვადის ბოლოსთვის საკუთრების შეძენა, აქტივი ცვდება სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადასა და საიჯარო ვადას შორის უმცირესი ვადის განმავლობაში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(დ) იჯარა (გაგრძელება)

საოპერაციო იჯარა არის ისეთი ტიპის იჯარა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად. საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით.

*კომპანია, როგორც მოიჯარე*

იჯარას, რომლის დროსაც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. იჯარიდან შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე და, თავისი საოპერაციო ხასიათის გამო, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება საოპერაციო შემოსავლის ნაწილში. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მათი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორითაც საიჯარო შემოსავლისა. პირობითი საიჯარო ქირის აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

(ე) გადასახადით დაბეგვრა

*მიმდინარე მოგების გადასახადი*

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აისახება სხვა გადასახადებად სრული შემოსავლის ანგარიშგების სხვა საოპერაციო ხარჯებში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) გადასახადით დაბეგვრა (გაგრძელება)

*დამატებული ღირებულების გადასახადი („დღგ“)*

შემოსავალი, ხარჯები და აქტივები აღირიცხება ბრუნვიდან გადასახადის გამოკლებით, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც შეუძლებელია ბრუნვიდან გადასახადის, რომლის ვალდებულებაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვისას წარმოიშობა, დაბრუნება საგადასახადო ორგანოებიდან, ამ შემთხვევაში ხდება ბრუნვიდან გადასახადის აღიარება აქტივის შესყიდვის ხარჯის ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ▶ როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანების აღრიცხული ოდენობა შეიცავს ბრუნვიდან გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან ანაზღაურებადი ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების გადახდილი ავანსების და სხვა აქტივების მუხლში.

*საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო წარმოდგენა*

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით. ამიტომ ჯგუფი თითოეული სამეურნეო სუბიექტის ყველა საგადასახადო დავალიანებასა და მოთხოვნასთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

(ვ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე- და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე- და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია ისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ვ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლე- და გრძელვადიანად (გაგრძელება)

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

(ზ) ძირითადი საშუალებები

*აღიარება და შეფასება*

დაუმთავრებელი მშენებლობა აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების შედეგად მიღებული აკუმულირებული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი ღირებულება წარმოადგენს შესყიდვის ფასს, რომელიც მოიცავს შესყიდვის გადასახადს, რომელიც დაბრუნებას არ ექვემდებარება და აქტივის ექსპლუატაციისთვის ვარგის მდგომარეობამდე მოსაყვანად და დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს. ასეთი ხარჯები მოიცავს ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის (როცა ასეთი დანახარჯი გაიწევა) და სესხით სარგებლობის ხარჯებს გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ გაწეული დანახარჯები, როგორიცაა შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები, ჩვეულებრივ აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, როდესაც ეს ხარჯები გაიწია.

*სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები*

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებულ საპროცენტო ხარჯსა და უცხოურ ვალუტაში მიღებული სესხებით გამოწვეულ საკურსო სხვაობებს იმდენად, რამდენადაც ისინი ითვლება საპროცენტო ხარჯების კორექტირებად.



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ზ) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ნასესხები სახსრები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება დაუმთავრებელი კაპიტალური პროექტის შესყიდვას, აშენებას ან წარმოებას, კაპიტალიზდება და დაემატება მშენებლობის განმავლობაში გაწეულ პროექტის დანახარჯებს მანამ, სანამ ეს აქტივები ჩაითვლება არსებითად მზად დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად, ანუ შესაძლებელი იქნება მათი კომერციული ექსპლუატაცია. კაპიტალიზაციის დასაწყისად ითვლება თარიღი, რომლისთვისაც ყველა შემდეგი კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია: i) კომპანია გასწევს დანახარჯებს აქტივზე, ii) კომპანია გასწევს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს და iii) კომპანია გადადგამს აქტივის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის მოსამზადებელ ნაბიჯებს.

თუ ფულადი სახსრები კონკრეტულად პროექტის დასაფინანსებლად არის ნასესხები, კაპიტალიზებული თანხა წარმოადგენს ფაქტობრივად გაწეულ ნასესხებ სახსრებს. თუ კონკრეტულად პროექტის დასაფინანსებლად ნასესხები სახსრებიდან მოკლე ვადით ხელმისაწვდომია თანხების ზედმეტობა, ამ თანხების დროებითი ინვესტიციიდან მიღებული შემოსავალი ასევე კაპიტალიზდება და გამოიქვითება მთლიანი კაპიტალიზებული ნასესხები სახსრებიდან. თუ პროექტის დასაფინანსებლად გამოყენებული ფულადი სახსრები შეადგენს ზოგადი ნასესხები სახსრების ნაწილს, კაპიტალიზებული თანხა გამოითვლება წლის განმავლობაში კომპანიის შესაბამისი ზოგადი ნასესხები სახსრებისთვის გამოყენებული განაკვეთების საშუალო შეწონილი განაკვეთის საფუძველზე.

*ძირითადი საშუალებების ცვეთა*

ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე შემდეგნაირად:

- ▶ შენობა-ნაგებობები 40 წლამდე;
- ▶ მანქანა-დანადგარები 30 წლამდე;
- ▶ სხვა საწარმოო და საოფისე აღჭურვილობა 20 წლამდე.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულებები, სასარგებლო გამოყენების ვადები და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაიხედება მინიმუმ ყოველი წლის ბოლოს და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

*აღიარების შეწყვეტა*

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს (ანუ იმ თარიღით, როდესაც მიმღები მოიპოვებს კონტროლს) ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იმავე წელში, რომელშიც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(თ) არამატერიალური აქტივები

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება ყოველგვარი დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. პირველადი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. საწარმოში წარმოქმნილი არამატერიალური აქტივები, კაპიტალიზებული კვლევა-განვითარების ხარჯების ჩათვლით, არ კაპიტალიზდება.

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს აქვს სასარგებლო გამოყენების განსაზღვრული ვადა და, ძირითადად, მოიცავს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიებს, კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიებს, სარკინიგზო ვაგონების გამოყენების უფლებებს და გუდვილს. ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები კაპიტალიზებულია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი აკმაყოფილებს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე კატეგორიას:

- ▶ შეუძლებელია დანახარჯის სარწმუნოდ შეფასება;
- ▶ კომპანიას ან კონტრაქტს სრული უფლება აქვთ, მათთვის მოსახერხებელ ნებისმიერ დროს შეწყვიტონ ხელშეკრულება და ხელშეკრულების შეწყვეტა სავსებით დასაშვებია;
- ▶ ხელშეკრულების ვადა ერთ წლამდეა.

*არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია*

არამატერიალური აქტივები ამორტიზდება მათი სასარგებლო გამოყენების სავარაუდო დარჩენილ ვადაზე ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდით:

- ▶ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიები 25 წლამდე ვადით (ლიცენზიის პირობების შესაბამისად);
- ▶ კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები ხუთიდან ათ წლამდე;
- ▶ სარკინიგზო ვაგონების გამოყენების უფლება - 13 წელი.

ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი სასარგებლო გამოყენების განსაზღვრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივის შემთხვევაში მინიმუმ ყოველი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს გადაისინჯება. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება შესაბამისად ცვლის ამორტიზაციის პერიოდს ან მეთოდს და აღირიცხება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. სასარგებლო გამოყენების განსაზღვრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში გაყიდული საქონლის თვითღირებულების მუხლში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(თ) არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

გასვლები

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს (ანუ მიმღების მიერ კონტროლის მოპოვების დღეს) ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ნამეტი შემოსავალი ან მოგება (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

(ი) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის კომპანია აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის წლიური შემოწმება საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი და განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოღინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან.

როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებლად და დაიყვანება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვების ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი გამოიყენება. ამ გამოთვლების დასაბუთება ხდება შეფასების კოეფიციენტებით ან სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

კომპანია გაუფასურებას დეტალური ბიუჯეტებისა და ფინანსური პროგნოზების საფუძველზე გამოითვლის. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რომელიც გამოიყენება ხუთი წლის შემდგომი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

უწყვეტი ოპერაციების გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში გაუფასურებელი აქტივის ფუნქციის შესაბამის ხარჯის კატეგორიებში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

**4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

**(ი) არაფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)**

ისეთი აქტივების შემთხვევაში, რომლებშიც გუდვილი არ შედის, ანგარიშგების ყოველი თარიღით ფასდება, არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი შეიძლება აღმოფხვრილი ან შემცირებული იყოს. თუ ამის ნიშნები მართლაც არსებობს, კომპანია აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების შედეგად განცდილი უკვე აღიარებული ზარალის შებრუნება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. აღდგენის შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც მას ექნებოდა, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული.

გუდვილის შემოწმება გაუფასურების გამოსავლენად ხდება ყოველწლიურად (31 დეკემბრის მდგომარეობით) და მაშინ, როდესაც საბალანსო ღირებულების გაუფასურებაზე გარკვეული გარემოებები მიანიშნებს.

გუდვილის გაუფასურება განისაზღვრება ფულადი ნაკადების წარმომქმნელი იმ თითოეული ერთეულის (ან ერთეულების ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებით, რომელთანაც გუდვილია დაკავშირებული. თუ ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, ხდება გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღიარება. გუდვილთან დაკავშირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღდგენა მომავალ პერიოდებში შეუძლებელია.

**(კ) ფინანსური ინსტრუმენტები**

**ფინანსური აქტივები**

**პირველადი აღიარება და შეფასება**

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია მათი პირველადი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნესმოდელზე, რომლითაც ის ამ ფინანსურ აქტივებს მართავს. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გამოკლებით, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკული მიზანშეწონილობა გამოიყენა, კომპანია ფინანსურ აქტივს თავდაპირველად აღიარებს მისი სამართლიანი ღირებულებით და, თუ ფინანსური აქტივი არ არის აღიარებული სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, მას უმატებს გარიგების დანახარჯებს.



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(კ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

სავაჭრო დებიტორული დავალიანება, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკული მიზანშეწონილობა გამოიყენა, ფასდება გარიგების ფასით ფასს 15-ის „შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ შესაბამისად.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირება და სრულდება ინსტრუმენტის დონეზე.

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა-გაყიდვა, როდესაც საჭიროა აქტივების ჩაბარება ნორმატიული აქტებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების სტანდარტული პროცედურა) გათვალისწინებულ ვადაში აღირიცხება გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანია იღებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას.

**შემდგომი შეფასება**

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ▶ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტები);
- ▶ სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სავალო ინსტრუმენტები);
- ▶ სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- ▶ მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(კ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

*ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტები)*

ეს კატეგორია კომპანიისთვის ყველაზე აქტუალურია. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ▶ ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით, და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო დებიტორულ დავალიანებას.

*ფინანსური აქტივების გაუფასურება*

ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია შემდეგ შენიშვნებშია წარმოდგენილი:

- ▶ მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები - მე-5 შენიშვნა;
- ▶ სავაჭრო დებიტორული დავალიანება - მე-15 შენიშვნა;
- ▶ ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში - მე-4 შენიშვნა.

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და ყველა იმ ფულად ნაკადს შორის, რომელთა მიღებასაც კომპანია მოელის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს მიახლოებული განაკვეთით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(კ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ორ ეტაპად ხდება. იმ კრედიტების შემთხვევაში, რომელთა საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის რეზერვები იქმნება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევით განპირობებული საკრედიტო ზარალისთვის (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). ისეთი კრედიტების შემთხვევაში, რომელთა საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, რეზერვის შექმნა სავალდებულოა კრედიტის დარჩენილი ვადის განმავლობაში მოსალოდნელი ზარალისთვის, იმისდა მიუხედავად, თუ როდის დგება დეფოლტი (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

სავაჭრო დებიტორული დავალიანებისთვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია, ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულში მიღებულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო ანაზრები) კომპანია გამოითვალა 12-თვიანი საკრედიტო ზარალი. 12-თვიანი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი, რომელსაც განაპირობებს ფინანსურ ინსტრუმენტებზე დეფოლტის შემთხვევების შესაძლო დადგომა საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც აქტივის წარმოშობიდან საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, რეზერვი შეიქმნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით.

კომპანია ფინანსურ აქტივს გადაუხდელად მიიჩნევს, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდები 120 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს მოგებაში ან ზარალში.

**აღიარების შეწყვეტა**

ფინანსური აქტივის (ან, როცა მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(კ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა, ან
- ▶ კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა, ან რამდენად შეინარჩუნა, ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

უწყვეტი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, ფასდება უმცირესით აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ მაქსიმალური თანხას შორის, რომლის გადახდაც შესაძლოა კომპანიას დასჭირდეს.

**ფინანსური ვალდებულებები**

**პირველადი აღიარება და შეფასება**

პირველადი აღიარებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები, მოგებასა და ზარალში ასახვით, სესხები და გადასახდელი ანგარიშები, კრედიტორული დავალიანება ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განკუთვნილია ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხებისა და გადასახდელი ანგარიშებისა და დებიტორული დავალიანების შემთხვევაში, აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები 2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრისთვის მოიცავს სავაჭრო კრედიტორულ დავალიანებას, სხვა მიმდინარე ვალდებულებებს და სესხებსა და გადასახდელ ანგარიშებს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(კ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

*შემდგომი შეფასება*

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე:

*სესხები და გადასახდელი ანგარიშები*

ეს კატეგორია კომპანიისთვის ყველაზე აქტუალურია. თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება გამოიანგარიშება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურის თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების სახით. ეს კატეგორია, როგორც წესი, ნასესხები სახსრებზე ვრცელდება.

*აღიარების შეწყვეტა*

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, რომელსაც მეტწილად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების პირობები მეტწილად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

*ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა*

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი.



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ლ) სამართლიანი ღირებულების შეფასება

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- ▶ მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

კომპანიას უნდა შეეძლოს მთავარ ან ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე წვდომის მოპოვება შეფასების თარიღისთვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომლებისთვისაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება ისე, რომ მაქსიმალურად იყენებდეს საბაზრო ამოსავალ მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო ამოსავალ მონაცემებს, რომლებიც, საერთო ჯამში, მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

**4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

**(ლ) სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)**

აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ განმარტებითი შენიშვნის მიზნებისთვის, კომპანიამ აქტივების და ვალდებულებების კლასი განსაზღვრა აქტივის ან ვალდებულების ხასიათის, თვისებებისა და რისკების ან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონის მიხედვით.

**(მ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები**

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. კომპანიის მფლობელობაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ძირითადად, შედგება საწარმოო პროცესში გამოყენებული ნედლეულისა და მასალებისგან, ტექნიკური მომსახურების და მშენებლობის პროცესში გამოყენებული სათადარიგო ნაწილებისგან და სარემონტო მასალებისგან და მზა პროდუქციისგან, რომელსაც კომპანია შემდეგ ყიდის.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და შეიცავს შეძენაზე გაწეულ დანახარჯებს, გარდაქმნის ხარჯს და ამჟამინდელ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მათ მისაყვანად გაწეულ სხვა დანახარჯებს.

გაუფასურების ზარალის დასადგენად ყოველწლიურად ხორციელდება არალიკვიდური სასაქონლო-მატერიალური მარაგების ანალიზი და ინვენტარიზაციის პროცედურა და აღმოჩენილი მოძველებული ერთეულები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ჩამოიწერება სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების რეზერვის ანგარიშში ასახვით.

**(ნ) გადახდილი ავანსები**

გადახდილი ავანსები აღირიცხება გაუფასურებით შემცირებული თვითღირებულებით. გადახდილი ავანსები მაშინ კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც გადახდილ ავანსებთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება ერთი წლის შემდეგაა მოსალოდნელი ან მაშინ, როდესაც გადახდილი ავანსები უკავშირდება აქტივს, რომელიც, პირველადი აღიარებისას, თვითონ იქნება კლასიფიცირებული გრძელვადიანად.

აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როგორც კი კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და მოელის აქტივიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღებას. სხვა გადახდილი ავანსები ასახულია სხვა მიმდინარე აქტივებში.

თუ არსებობს მინიშნება, რომ კომპანიამ შესაძლოა ვერ მიიღოს გადახდილ ავანსთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი ან მომსახურება, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

**4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**

**(ო) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკებში განთავსებული მიმდინარე ანგარიშგებისგან და ნაღდი ფულის ნაშთისგან საღარიბოში. ნაშთები, რომელთა სავალუტო კონვერტაცია ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში, ასახულია გრძელვადიან აქტივებში, და არა ფულადი სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში.

**(პ) ანარიცხები**

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე იურიდიული თუ არაკონტრაქტული ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სარწმუნოდ განსაზღვრა.

თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მნიშვნელოვანია, ანარიცხების დისკონტირება ხდება მიმდინარე დაბეგვრამდელი განაკვეთით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ასახავს ამ ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გამოყენებისას რეზერვი იზრდება დისკონტირების განაკვეთით დროის გასვლის გამო.

**5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები**

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

კომპანიისთვის დამახასიათებელი რისკებისა და განუსაზღვრელობის შესახებ სხვა ინფორმაცია წარმოდგენილია 22-ე შენიშვნაში:

- ▶ კაპიტალის მართვა
- ▶ ფინანსური ინსტრუმენტების რისკის მართვა და პოლიტიკა
- ▶ ინფორმაცია მგრძნობელობის ანალიზის შესახებ

**მოსაზრებები**

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, რომლებიც ყველაზე მეტად მოქმედებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე.

## ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

### 5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

*საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისგან მიღებული სესხების სამართლიანი ღირებულება*

2018 წელს კომპანიამ სესხები მიიღო HC AG-ისგან. ხელმძღვანელობის განსჯით, პროცენტი არსებითად, საპროცენტო განაკვეთს ემთხვეოდა, იმის გათვალისწინებით, რომ იგი აკმაყოფილებდა სატრანსფერო ფასწარმოქმნის პარამეტრებს. განსჯას საპროცენტო განაკვეთის სამართლიანობის შესახებ არსებითი გავლენა აქვს ნასესხები სახსრების მოცულობაზე მათი აღიარებისას.

#### *რეკულტივაციის რეზერვი*

კომპანიას სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების რამდენიმე ლიცენზია აქვს მიღებული. ზოგადად, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, სასარგებლო წიაღისეულით მოსარგებლეები ვალდებული არიან მოახდინონ მათ მიერ ლიცენზიის საფუძველზე დამუშავებული ტერიტორიების რეკულტივაცია. თუმცა, საქართველოს კანონმდებლობა არ არის საკმარისად დახვეწილი ამ სფეროში და არ იძლევა დაწვრილებით მითითებებს, რათა ყველა შესაძლო სიტუაცია მოიცვას. კომპანიის ხელმძღვანელობამ დეტალურად გააანალიზა თავისი ყველა ლიცენზია და გადაწყვიტა, რომ არ დაეკისრება რამე არსებითი რეკულტივაციის ხარჯები ამ ლიცენზიების ვადის გასვლის შემთხვევაში ან მათი გამოყენების დროს, ვინაიდან შეუძლებელია ლიცენზიების საფუძველზე დამუშავებული ტერიტორიების რეკულტივაცია, რადგან ლიცენზიით გათვალისწინებული ტერიტორია განსაზღვრულია, როგორც წიაღისეულის მოპოვების არეალი და, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ასეთ ტერიტორიებზე რეკულტივაცია დაუშვებელია. გარდა ამისა, სასარგებლო წიაღისეულის მარაგები ლიცენზიით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე აღემატება იმ მთლიან რაოდენობას, რომლის მოპოვების უფლებაც კომპანიას აქვს სალიცენზიო პერიოდის განმავლობაში, რაც მთავრობას საშუალებას აძლევს, სამთო-მოპოვებითი სამუშაოების უფლებები გადასცეს სხვა საწარმოს და გამორიცხავს მადნის ლიკვიდაციას. გამორიცხული არ არის, რომ კანონმდებლობა შეიძლება მომავალში შეიცვალოს და ეს ცვლილებები კომპანიის მიმდინარე ლიცენზიებზეც აისახოს. კომპანიას არ უღიარებია რეკულტივაციის ანარცხები წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში. ამ ანარცხებმა შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ მათი შექმნა საჭირო გახდება.

#### **შეფასებები და დაშვებები**

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ.

კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძველად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რაც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში მათი დადგომისთანავე აისახება.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

*საგადასახადო კანონმდებლობა*

გაურკვევლობა არსებობს საგადასახადო კოდექსის რთულ მუხლებთან, საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებებთან, და მომავალი დასაბეგრი მოგების ოდენობასა და მიღების დროსთან დაკავშირებით. საქართველოში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

საგადასახადო და საბაჟო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ კომპანიის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

*სავაჭრო დებიტორული დავალიანების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალებისთვის შექმნილი ანარიცხები*

კომპანია სავაჭრო დებიტორული დავალიანებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად ანარიცხების მატრიცას იყენებს. დარეზერვების ნორმები ეყრდნობა სხვადასხვა სემენტებად დაჯგუფებული, ზარალიანობის მსგავსი მაჩვენებლის მქონე, მომხმარებლებისთვის დადგენილ ვადაგადაცილებულ დღეებს.

ანარიცხების მატრიცა თავდაპირველად ეყრდნობა კომპანიის დეფოლტის ისტორიულ მაჩვენებლებს. კომპანია მატრიცას დააზუსტებს, რათა ისტორიული საკრედიტო ზარალის გამოცდილება საპროგნოზო ინფორმაციით დააკორექტიროს.

ინფორმაცია კომპანიის სავაჭრო დებიტორული დავალიანების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესახებ წარმოდგენილია მე-15 შენიშვნაში.



ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

**6. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა**

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ, კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის, ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ.

კომპანია ამ სტანდარტების მიღებას შეძლებისდაგვარად აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ სხვა ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

*ფასს (IFRS) 16 „იჯარა“*

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“; ფასიკ (IFRIC) 4-ს „როგორ განესაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის - „დაბალი ღირებულები მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი.

მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე, ზოგადად, საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მოიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მოიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, რომელსაც ბასს 17 იყენებს, და გამოიჯნავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

ფასს 16-ით როგორც მოიჯარეებს, ისე მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა. ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

ნებადართულია ნაადრევი გამოყენება, თუმცა საწარმოს მიერ ფასს 15-ის გამოყენებაზე ადრე არა. მოიჯარემ შეიძლება გადაწყვიტოს სტანდარტის გამოყენება სრული რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. სტანდარტის გარდამავალი დებულებები გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

6. სტანდარტები, რომლებიც გამოიყენა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 16 (გაგრძელება)

ფასს 16-ზე გადასვლა

კომპანია აპირებს ფასს 16-ზე გადასვლას მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით, ანუ იგი კუმულაციური დაბალანსების (ანაზღაურების) კორექტირებას აღიარებს საწყის ბალანსზე წინა პერიოდის შედარებადი ინფორმაციის გადაანგარიშების გარეშე. ფასს 16-ზე გადასვლისას კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებას იმ იჯარებზე, რომლებიც მანამდე ბასს 17-ის მიხედვით ჩვეულებრივ იჯარად იყო კლასიფიცირებული. საიჯარო ვალდებულება შეფასდება დარჩენილი საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომლებიც დისკონტირდება თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. კომპანია თავდაპირველი გამოყენების თარიღამდე ასეთ იჯარებზე აღიარებს გამოყენების უფლებით გადაცემულ აქტივს იმ საიჯარო ვალდებულების ოდენობით, რომელიც კორექტირდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ იჯარასთან დაკავშირებული ყველა წინასწარ გადახდილი ან დარიცხული საიჯარო გადასახადების თანხით. კომპანია შემდეგ პრაქტიკულ ხერხებს მიმართავს:

- ▶ კომპანია იყენებს დისკონტის ერთ განაკვეთს მსგავსი მახასიათებლების მქონე იჯარების პორტფელისთვის;
- ▶ კომპანია აფასებს, არის თუ არა იჯარა დამამძიმებელი, ბასს 37-ის „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ მეშვეობით უშუალოდ თავდაპირველი გამოყენების თარიღამდე, რაც წარმოადგენს გაუფასურების შემოწმების ალტერნატივას.
- ▶ კომპანია ფასს-ის თავდაპირველად გამოყენების თარიღისთვის გამოყენების უფლებით გადაცემული აქტივის შეფასებაში არ ითვალისწინებს თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს.

კომპანია სტანდარტით გათვალისწინებული გამონაკლისების გამოყენებას არჩევს იმ საიჯარო ხელშეკრულებებზე, რომელთა მიხედვითაც, იჯარის ვადა მთავრდება 12 თვეში იჯარით გადაცემული სატრანსპორტო საშუალებებისა და აღჭურვილობის შემთხვევაში, და აგრეთვე იმ საიჯარო ხელშეკრულებებზე, რომელთა საბაზისო აქტივი დაბალი ღირებულებისაა.

კომპანია ამჟამად აფასებს ფასს (IFRS) 16-ის გავლენას, თუმცა არ მოელის, რომ მას მნიშვნელოვანი გავლენა ექნება ფინანსურ ანგარიშგებაზე.

## შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 6. სტანდარტები, რომლებიც გამოიყენა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ქვემოთ ჩამოთვლილია სხვა სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიყენა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა. ეს სტანდარტები, სავარაუდოდ, არ იქონიებს გავლენას კომპანიაზე:

- ▶ ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“;
- ▶ ფასიკ (IFRIC) 23-ის ინტერპრეტაცია „მოგების ფასიკ დაბეგვრასთან დაკავშირებული გაურკვეველობა“;
- ▶ ცვლილებები ფასს (IFRS) 9-ში „საავანსო გადახდის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით“;
- ▶ ცვლილებები ფასს (IFRS) 10-სა და ბასს (IAS) 28-ში: „აქტივების გაყიდვა ან კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის“;
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 19-ში „გემის შეცვლა, შეკვეცა ან საბოლოო ანგარიშსწორება“;
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 28-ში „გრძელვადიანი მონაწილეობა მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში“;
- ▶ ყოველწლიური გაუმჯობესებების ციკლი 2015-2017 წ.წ. (გამოცემული 2017 წლის დეკემბერში)
- ▶ ფასს (IFRS) 3 „საწარმოთა გაერთიანება“;
- ▶ ფასს (IFRS) 11 „ერთობლივი გარიგებები“;
- ▶ ბასს (IAS) 12 „მოგებიდან გადასახადები“;
- ▶ ბასს (IAS) 23 „სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები“.

#### 7. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

|            | 2018           | 2017           |
|------------|----------------|----------------|
| ცემენტი    | 162,543        | 166,040        |
| ბეტონი     | 90,712         | 78,468         |
| კლინკერი   | 20,514         | 21,876         |
| კირქვა     | 738            | 2,281          |
| სხვა       | 11,911         | 10,486         |
| <b>სულ</b> | <b>286,418</b> | <b>279,151</b> |

#### სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები

კომპანიამ აღიარა შემოსავლებთან დაკავშირებული შემდეგი სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სახელშეკრულებო ვალდებულებები:

|                                                 | 31 დეკემბერი,<br>2018 წ. | 31 დეკემბერი,<br>2017 წ. |
|-------------------------------------------------|--------------------------|--------------------------|
| სავაჭრო დებიტორული დავალიანება (მე-15 შენიშვნა) | 7,535                    | 7,548                    |
| სახელშეკრულებო ვალდებულებები (მე-19 შენიშვნა)   | 1,768                    | 2,717                    |

## შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 7. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან (გაგრძელება)

დებიტორული ანგარიშების აღიარება ხორციელდება მაშინ, როდესაც ანაზღაურებაზე უფლება უპირობო ხდება. სახელშეკრულებო ვალდებულებები არის მომხმარებლებისგან მიღებული ანაზღაურება და წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, გადასცეს საქონელი ამ მომხმარებლებს.

საანგარიშგებო თარიღისთვის შეუსრულებელ ვალდებულებებთან დაკავშირებული 1,768 ლარის ოდენობის სახელშეკრულებო ვალდებულებების აღიარება, სავარაუდოდ, 2019 წლის შემოსავლის სახით მოხდება. 2018 წელს კომპანიამ აღიარა 2,717 ლარის ოდენობის შემოსავალი, რომელიც აისახა სახელშეკრულებო ვალდებულებებში საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში.

#### 8. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

|                                                                     | 2018           | 2017           |
|---------------------------------------------------------------------|----------------|----------------|
| საწვავის ხარჯები                                                    | 69,915         | 65,631         |
| ნედლეული და დანამატები                                              | 45,066         | 46,451         |
| ნედლეულისა და დანამატების ტრანსპორტირებისა და მოპოვების დანახარჯები | 26,920         | 17,937         |
| ელექტროენერგია                                                      | 24,585         | 22,621         |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                | 19,519         | 19,068         |
| პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები                               | 18,224         | 18,202         |
| მოხმარების საგნები                                                  | 12,632         | 13,792         |
| შეკეთება და ტექნიკური მომსახურება                                   | 10,556         | 12,086         |
| შეფუთვა                                                             | 6,467          | 5,613          |
| ძირითადი საშუალებების გაუფასურება (მე-12 შენიშვნა)                  | 3,958          | 5,670          |
| საოპერაციო იჯარა                                                    | 873            | 899            |
| დაზღვევა                                                            | 524            | 698            |
| პროფესიული მომსახურება                                              | 33             | 148            |
| ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში                             | 1,071          | 4,614          |
| სხვა                                                                | 8,606          | 8,351          |
| <b>სულ თვითღირებულება</b>                                           | <b>248,949</b> | <b>241,781</b> |

#### 9. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები

|                                                 | 2018          | 2017          |
|-------------------------------------------------|---------------|---------------|
| ტრანსპორტირების ხარჯი                           | 10,737        | 9,951         |
| პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები           | 1,601         | 1,517         |
| საიჯარო და კომუნალური გადასახადები              | 230           | 198           |
| გაყიდვების სტიმულირება და რეკლამა               | –             | 257           |
| სხვა                                            | 1,121         | 673           |
| <b>სულ რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები</b> | <b>13,689</b> | <b>12,596</b> |

## შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

|                                                      | 2018          | 2017          |
|------------------------------------------------------|---------------|---------------|
| პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები                | 5,642         | 5,539         |
| საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურება               | 1,437         | 1,229         |
| სალიცენზიო გადასახადი                                | 1,180         | –             |
| ჯგუფის ზედნადები ხარჯის გადანაწილება (23-ე შენიშვნა) | 761           | 1,071         |
| საოპერაციო იჯარა                                     | 598           | 936           |
| მართვის მომსახურების გასამრჯელო (23-ე შენიშვნა)      | 467           | 192           |
| პროფესიული მომსახურება                               | 402           | 645           |
| ელექტროენერგიის სხვა ხარჯები                         | 144           | 298           |
| სხვა                                                 | 977           | 1,267         |
| <b>სულ</b>                                           | <b>11,608</b> | <b>11,177</b> |

- (ა) HeidelbergCement AG-მ კომპანიას გადასცა ისეთი პროდუქტების წარმოების და დისტრიბუციის ლიცენზია, როგორიცაა ცემენტი, აგრეგატები და ბეტონი (23-ე შენიშვნა).

#### 11. სხვა საოპერაციო შემოსავალი/(ხარჯები)

|                                                         | 2018         | 2017         |
|---------------------------------------------------------|--------------|--------------|
| ხრემის და ჯართის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი         | 1,111        | 500          |
| საიჯარო შემოსავალი                                      | 715          | 584          |
| არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა | 29           | –            |
| საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა                  | –            | 1,120        |
| სხვა შემოსავალი                                         | 2,046        | 2,322        |
| <b>სხვა საოპერაციო შემოსავალი, სულ</b>                  | <b>3,901</b> | <b>4,526</b> |

|                                                     | 2018         | 2017         |
|-----------------------------------------------------|--------------|--------------|
| გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა             | 5,490        | 4,141        |
| საკურსო ზარალი                                      | 677          | –            |
| მატერიალური აქტივების გაყიდვიდან მიღებული ზარალი    | 10           | 76           |
| არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან მიღებული ზარალი | –            | 18           |
| გადახდილი ავანსების და სხვა აქტივების გაუფასურება   | –            | 223          |
| სხვა ხარჯები                                        | 3,654        | 3,842        |
| <b>სულ სხვა საოპერაციო ხარჯები</b>                  | <b>9,831</b> | <b>8,300</b> |

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

12. ძირითადი საშუალებები

|                                           | მიწა და<br>შენობა-<br>ნაგებობები | მანქანა-<br>დანადგარები | სხვა            | დაუმთავ-<br>რებელი<br>მშენებლობა | სულ              |
|-------------------------------------------|----------------------------------|-------------------------|-----------------|----------------------------------|------------------|
| <b>მოთიანი საბალანსო<br/>ღირებულება</b>   |                                  |                         |                 |                                  |                  |
| <b>31 დეკემბერი, 2016 წ.</b>              | <b>98,049</b>                    | <b>126,552</b>          | <b>102,247</b>  | <b>31,999</b>                    | <b>358,847</b>   |
| შემოსვლები (ბ)                            | 7,846                            | 6,228                   | 2,428           | 93,938                           | 110,440          |
| გასვლები                                  | (456)                            | (434)                   | (1,189)         | (385)                            | (2,464)          |
| შიდა გადაცემები (ა)                       | 15,374                           | 6,495                   | 2,702           | (24,571)                         | –                |
| <b>31 დეკემბერი, 2017 წ.</b>              | <b>120,813</b>                   | <b>138,841</b>          | <b>106,188</b>  | <b>100,981</b>                   | <b>466,823</b>   |
| შემოსვლები (ბ)                            | 881                              | 1,723                   | 2,459           | 117,657                          | 122,720          |
| გასვლები                                  | (301)                            | (236)                   | (1,638)         | –                                | (2,175)          |
| შიდა გადაცემები                           | 809                              | 610                     | 336             | (1,755)                          | –                |
| <b>31 დეკემბერი, 2018 წ.</b>              | <b>122,202</b>                   | <b>140,938</b>          | <b>107,345</b>  | <b>216,883</b>                   | <b>587,368</b>   |
| <b>დარიცხული ცვეთა და<br/>გაუფასურება</b> |                                  |                         |                 |                                  |                  |
| <b>31 დეკემბერი, 2016 წ.</b>              | <b>(29,256)</b>                  | <b>(54,395)</b>         | <b>(46,453)</b> | –                                | <b>(130,104)</b> |
| წლის დანარიცხი                            | (4,232)                          | (6,645)                 | (7,033)         | –                                | (17,910)         |
| გაუფასურება (გ)                           | (4,578)                          | (250)                   | (842)           | –                                | (5,670)          |
| გასვლები                                  | 38                               | 381                     | 1,089           | –                                | 1,508            |
| <b>31 დეკემბერი, 2017 წ.</b>              | <b>(38,028)</b>                  | <b>(60,909)</b>         | <b>(53,239)</b> | –                                | <b>(152,176)</b> |
| წლის დანარიცხი                            | (4,678)                          | (6,632)                 | (7,207)         | –                                | (18,517)         |
| გაუფასურება (გ)                           | (1,049)                          | (743)                   | (2,166)         | –                                | (3,958)          |
| გასვლები                                  | 140                              | 235                     | 1,483           | –                                | 1,858            |
| <b>31 დეკემბერი, 2018 წ.</b>              | <b>(43,615)</b>                  | <b>(68,049)</b>         | <b>(61,129)</b> | –                                | <b>(172,793)</b> |
| <b>წმინდა საბალანსო<br/>ღირებულება</b>    |                                  |                         |                 |                                  |                  |
| <b>31 დეკემბერი, 2017 წ.</b>              | <b>82,785</b>                    | <b>77,932</b>           | <b>52,949</b>   | <b>100,981</b>                   | <b>314,647</b>   |
| <b>31 დეკემბერი, 2018 წ.</b>              | <b>78,587</b>                    | <b>72,889</b>           | <b>46,216</b>   | <b>216,883</b>                   | <b>414,575</b>   |

- (ა) 2017 წლის განმავლობაში კომპანიამ დაასრულა ქვესადგურების და კირქვის სამსხვრევი ხაზის მშენებლობა კასპის ქარხანაში და სასხორის კირქვის კარიერზე.
- (ბ) 2016 წლის განმავლობაში კომპანიამ დაიწყო კლინკერის წარმოების მშრალი ხაზის მშენებლობა კასპის ქარხანაში. მშენებლობის პროცესს წარმართავს ჩინური კომპანია შპს „Chengdu Design and Research Institute of Building Materials Industry CO“. პროექტი დასრულდა და ექსპლუატაციაში ჩაეშვა 2019 წლის აგვისტოში.
- (გ) 2018 წლის განმავლობაში კომპანიამ ჩამოწერა ერთ-ერთი სველი მეთოდით გამოწვის ღუმელი კასპში და შესაბამისი ინფრასტრუქტურა და დამხმარე მასალები, 3,958 ლარის წმინდა საბალანსო ღირებულებით (2017 წ.: 5,670 ლარი). კასპში დანარჩენი სველი მეთოდით გამოწვის ღუმელების გაუფასურება, რუსთავის სველი მეთოდით გამოწვის ღუმელთან ერთად, საბოლოოდ გადაწყდება მას შემდეგ, რაც კომპანია ახალი ღუმელების გამოყენების საკმარის გამოცდილებას დააგროვებს.



შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

13. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

|                                            | 31 დეკემბერი,<br>2018 წ. | 31 დეკემბერი,<br>2017 წ. |
|--------------------------------------------|--------------------------|--------------------------|
| მოხმარების საგნები                         | 16,025                   | 10,834                   |
| სათადარიგო ნაწილები                        | 13,986                   | 12,774                   |
| ნედლეული და დანამატები                     | 5,565                    | 4,041                    |
| დაუმთავრებელი წარმოება                     | 5,252                    | 6,348                    |
| მზა პროდუქცია                              | 5,174                    | 5,128                    |
| ანგარიშზე გადახდილი ავანსები               | 434                      | 451                      |
| <b>სასაქონლო-მატერიალური მარაგები, სულ</b> | <b>46,436</b>            | <b>39,576</b>            |

14. გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები

|                                               | 31 დეკემბერი,<br>2018 წ. | 31 დეკემბერი,<br>2017 წ. |
|-----------------------------------------------|--------------------------|--------------------------|
| საქონელსა და მომსახურებაში გადახდილი ავანსები | 3,254                    | 6,028                    |
| სულ გადახდილი ავანსები                        | 1,141                    | 889                      |
| ძირითად საშუალებებში გადახდილი ავანსები (ა)   | –                        | 29,836                   |
| წინასწარ გადახდილი ქონების გადასახადი         | –                        | 1,051                    |
| <b>სულ გადახდილი ავანსები</b>                 | <b>4,395</b>             | <b>37,804</b>            |

(ა) ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადად უკავშირდება კლინკერის წარმოების მშრალი ხაზის მშენებლობას კასპის ქარხანაში. პროექტის მშენებლობის ფაზა დასრულდა 2018 წელს და კომპანიამ დაიწყო ქარხნის ტესტირება.

15. სავაჭრო დებიტორული დავალიანება

|                                                    | 31 დეკემბერი,<br>2018 წ. | 31 დეკემბერი,<br>2017 წ. |
|----------------------------------------------------|--------------------------|--------------------------|
| სავაჭრო დებიტორული დავალიანება                     | 9,733                    | 9,727                    |
| გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი | (2,198)                  | (2,179)                  |
| <b>სულ დებიტორული დავალიანება</b>                  | <b>7,535</b>             | <b>7,548</b>             |

მოდრაობა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვში 31 დეკემბრისთვის ასეთი იყო:

|                                  | 2018           | 2017           |
|----------------------------------|----------------|----------------|
| 1 იანვრის მდგომარეობით           | (2,179)        | (2,117)        |
| წლის დანარიცხი                   | (19)           | (62)           |
| <b>31 დეკემბრის მდგომარეობით</b> | <b>(2,198)</b> | <b>(2,179)</b> |

სავაჭრო დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება და მათი ვადა, როგორც წესი, 30-90 დღეა.

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

15. სავაჭრო დებიტორული დავალიანება (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილია ინფორმაცია კომპანიის დებიტორული დავალიანების საკრედიტო რისკის შესახებ ანარიცხების მატრიცის გამოყენებით:

|                                                                                                                                         | სულ          | არც<br>ვადაგადა-<br>ცილებული<br>და არც<br>გაუფასუ-<br>რებული | ვადაგადაცილებული |            |             |            |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------|--------------------------------------------------------------|------------------|------------|-------------|------------|
|                                                                                                                                         |              |                                                              | <60 დღე          | 60-120 დღე | 120-180 დღე | >180 დღე   |
| <b>2018</b>                                                                                                                             |              |                                                              |                  |            |             |            |
| მოსალოდნელი საკრედიტო<br>ზარალის დონე                                                                                                   | 23%          | 0%                                                           | 1%               | 10%        | 100%        | 93%        |
| საბალანსო ღირებულება                                                                                                                    | 9,733        | 6,796                                                        | 406              | 188        | 19          | 2,324      |
| მოსალოდნელი საკრედიტო<br>ზარალი                                                                                                         | (2,198)      | –                                                            | (4)              | (19)       | (19)        | (2,156)    |
| <b>ფინანსური მდგომარეობის<br/>კონსოლიდირებულ<br/>ანგარიშგებაში<br/>წარმოდგენილი<br/>ფინანსური<br/>ვალდებულებების წმინდა<br/>ოდენობა</b> | <b>7,535</b> | <b>6,796</b>                                                 | <b>402</b>       | <b>169</b> | <b>–</b>    | <b>168</b> |
| <b>2017</b>                                                                                                                             |              |                                                              |                  |            |             |            |
| მოსალოდნელი საკრედიტო<br>ზარალის დონე                                                                                                   | 22%          | 0%                                                           | 1%               | 10%        | 81%         | 82%        |
| საბალანსო ღირებულება                                                                                                                    | 9,727        | 6,454                                                        | 347              | 309        | 74          | 2,543      |
| მოსალოდნელი საკრედიტო<br>ზარალი                                                                                                         | (2,179)      | –                                                            | (3)              | (31)       | (60)        | (2,085)    |
| <b>ფინანსური მდგომარეობის<br/>კონსოლიდირებულ<br/>ანგარიშგებაში<br/>წარმოდგენილი<br/>ფინანსური<br/>ვალდებულებების წმინდა<br/>ოდენობა</b> | <b>7,548</b> | <b>6,454</b>                                                 | <b>344</b>       | <b>278</b> | <b>14</b>   | <b>458</b> |

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული თანხების ამოღება შესაძლებელია. გაუფასურების ანალიზი პერიოდულად და ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ტარდება. ანალიზები მოიცავს მომხმარებლებისგან მიღებული შემდგომი ფულადი სახსრების შემოწმებას. კომპანიას თავისი მომხმარებლების დიდი ნაწილისგან უზრუნველყოფის საგანს ითხოვს.

## შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 16. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

|                                                   | 31 დეკემბერი,<br>2018 წ. | 31 დეკემბერი,<br>2017 წ. |
|---------------------------------------------------|--------------------------|--------------------------|
| მიმდინარე ანგარიშები ბანკებში                     | 1,139                    | 7,897                    |
| <b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სულ</b> | <b>1,139</b>             | <b>7,897</b>             |

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკებში შედგება რეზიდენტ ბანკებში გახსნილი მიმდინარე და სადეპოზიტო ანგარიშებისგან. ან დეპოზიტებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი 160 ლარს გაუტოლდა (2017 წ.: 468 ლარი).

#### 17. საკუთარი კაპიტალი

##### საწესდებო კაპიტალი

2016 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიისა და ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 31,778 ლარით და 77,858 ლარით, შესაბამისი თანმიმდევრობით.

2017 წლის 10 ნოემბერს უშუალო მშობელმა კომპანიამ გადაწყვიტა საწესდებო კაპიტალის გაზრდა 75,000 აშშ დოლარით (197,775 ლარი). 2017 წლის ბოლოსთვის ეს თანხა სრულად იყო შეტანილი კაპიტალში.

2018 წლის 4 აპრილს შერწყმის გამო, 77,858 ლარის გამოშვებული კაპიტალი ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსიდან კომპანიას გადაეცა.

2017 წელს და 2018 წელს დივიდენდები არ გამოცხადებულა და არ განაწილებულა.

2018 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 307,411 ლარით.

#### 18. სესხები და გადასახდელი ანგარიშები

|                                                              | 31 დეკემბერი,<br>2018 წ. | 31 დეკემბერი,<br>2017 წ. |
|--------------------------------------------------------------|--------------------------|--------------------------|
| საბანკო ოვერდრაფტი                                           | 7,097                    | 570                      |
| ქართული კომერციული ბანკისგან მიღებული მოკლევადიანი სესხი (ა) | 2,144                    | –                        |
| დარიცხული პროცენტი                                           | 989                      | 256                      |
| <b>სულ მიმდინარე სესხები და თამასუქები</b>                   | <b>10,230</b>            | <b>826</b>               |

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

18. სესხები და გადასახდელი ანგარიშები (გაგრძელება)

|                                                          | 31 დეკემბერი,<br>2018 წ. | 31 დეკემბერი,<br>2017 წ. |
|----------------------------------------------------------|--------------------------|--------------------------|
| ქართული კომერციული ბანკისგან მიღებული გრძელვადიანი სესხი |                          |                          |
| (ა)                                                      | 146,001                  | 131,866                  |
| HC AG-ისგან მიღებული გრძელვადიანი სესხი (ბ)              | 48,663                   | –                        |
| <b>სულ გრძელვადიანი სესხები და თამასუქები</b>            | <b>194,664</b>           | <b>131,866</b>           |

(ა) ქართული კომერციული ბანკისგან მიღებული სესხი

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქართული კომერციული ბანკისგან მიღებული სესხები ევროშია გამოხატული. აღნიშნული სესხის ვადა 82 თვეა. იგი მიღებულია 2017 წლის დეკემბერში და გამოყენებული იქნა მფლობელისგან მიღებული მოკლევადიანი სესხის დასაფარად.

2018 წლის განმავლობაში ქართული კომერციული ბანკისგან მიღებულ ოვერდრაფტზე და სესხზე საპროცენტო ხარჯებმა სულ 6,978 ლარი შეადგინა (2017 წლის განმავლობაში 10,235 ლარი).

(ბ) HC AG-სგან მიღებული სესხი

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, HC AG-ისგან მიღებული გრძელვადიანი სესხი გამოხატულია ევროში და მისი საშუალო ვადა 48 თვეა.

HC AG-ისგან მიღებული სესხის საპროცენტო ხარჯი 2018 წელს მთლიანად კაპიტალიზდა კლინკერის წარმოების მშრალი ხაზის მშენებლობაზე და შეადგინა 4,241 ლარი (2017 წ.: ნული).

ცვლილება ფინანსური საქმიანობით გამოწვეულ ვალდებულებებში

|                                      | 1 იანვარი | ფულადი<br>ნაკადები | სავალუტო<br>კურსის<br>მოძრაობა | სხვა  | 31 დეკემბერი |
|--------------------------------------|-----------|--------------------|--------------------------------|-------|--------------|
| <b>2018</b>                          |           |                    |                                |       |              |
| სესხები და გადასახდელი<br>ანგარიშები | 132,692   | 70,582             | 887                            | 733   | 204,894      |
| <b>2017</b>                          |           |                    |                                |       |              |
| სესხები და გადასახდელი<br>ანგარიშები | 277,054   | (144,356)          | 555                            | (561) | 132,692      |

ქართული ფინანსური დაწესებულებიდან სესხი მიღებულია სხვადასხვა ფინანსური და არაფინანსური პირობით, რომლებიც ძალაში შედის ახალი მშრალი წარმოების ხაზის მშენებლობის დასრულების შემდეგ.

## შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 19. სხვა მიმდინარე ვალდებულებები

|                                          | 31 დეკემბერი,<br>2018 წ. | 31 დეკემბერი,<br>2017 წ. |
|------------------------------------------|--------------------------|--------------------------|
| საგადასახადო დავალიანება                 | 2,052                    | 1,464                    |
| სახელშეკრულებო ვალდებულებები             | 1,768                    | 2,717                    |
| გასაცემი ხელფასები                       | 130                      | 240                      |
| სხვა საოპერაციო ვალდებულებები (ა)        | 34,477                   | 41,536                   |
| <b>სხვა მიმდინარე ვალდებულებები, სულ</b> | <b>38,427</b>            | <b>45,957</b>            |

(ა) 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სხვა საოპერაციო ვალდებულებები ძირითადად უკავშირდება კლინკერის წარმოების მშრალი ხაზის მშენებლობას კასპის ქარხანაში.

#### 20. სავაჭრო კრედიტორული დავალიანება

|                                                                                | 31 დეკემბერი,<br>2018 წ. | 31 დეკემბერი,<br>2017 წ. |
|--------------------------------------------------------------------------------|--------------------------|--------------------------|
| სავაჭრო კრედიტორული დავალიანება მესამე მხარეების მიმართ                        | 15,684                   | 20,805                   |
| საქონელსა და მომსახურებაზე დარიცხვები                                          | 3,035                    | 1,410                    |
| სავაჭრო კრედიტორული დავალიანება დაკავშირებული მხარეების მიმართ (23-ე შენიშვნა) | 12,372                   | 5,306                    |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                                                       | <b>31,091</b>            | <b>27,521</b>            |

#### 21. პირობითი ვალდებულებები

##### გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველოში კანონმდებლობა გარემოს დაცვის დარგში ვითარდება, ხოლო სამართალგამოყენების ფორმები სამთავრობო ორგანოების მუდმივი გადასინჯვის საგანს წარმოადგენს. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებულ წესებში ან კანონმდებლობაში ცვლილებების და ასევე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს.

მნიშვნელოვანი რეგულაცია, რომლის გათვალისწინებაც ხელმძღვანელობს უწყვეს, არის ხმაურის და გარემოს დაბინძურების რეგულაციები. ხელმძღვანელობა ყოველწლიურად წარადგენს ანგარიშებს ცემენტის ქარხნების მიერ ხმაურისა და გარემოს დაბინძურების ნორმების დაცვის შესახებ. ამასთან, თუ გარემოს დაცვის სამინისტრო მიიღებს რამე საჩივარს საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებით, დაუგეგმავი შემოწმება ტარდება. ხელმძღვანელობის აზრით, ქარხნები სრულად აკმაყოფილებს დადგენილ ნორმებს და რეგულაციის დარღვევის რისკი არ არსებობს.

## ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

### 22. რისკის მართვა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება სავაჭრო კრედიტორული და სხვა მიმდინარე ვალდებულებებისგან, სესხებისა და გადასახდელი ანგარიშებისგან. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია კომპანიის საოპერაციო და კაპიტალური დანახარჯების დაფინანსება. კომპანიას აქვს პირდაპირ თავისი ოპერაციებიდან მიღებული სავაჭრო დებიტორული დავალიანება და ფულადი სახსრები მიმდინარე ანგარიშებზე.

კომპანიას აქვს საკრედიტო, ლიკვიდურობის, სავალუტო და სავალუტო რისკები. კომპანიას სხვა მნიშვნელოვანი საბაზრო რისკები არ აქვს, რადგანაც არ ფლობს ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს, რომლებზეც ექნებოდა ცვალებადი სამომავლო ფულადი ნაკადები საბაზრო ფასების მერყეობის გამო.

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

#### საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მომწოდებელი ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით კომპანიას ფინანსური ზარალი მიადგება. კომპანიის საკრედიტო რისკი წარმოდგენილია გაცემულ სესხებზე მისაღები თანხების, სავაჭრო დებიტორული დავალიანების და ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების საერთო ნაშთით 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

#### სავაჭრო დებიტორული დავალიანება

მომხმარებლის საკრედიტო რეიტინგი ფასდება საფუძვლიანი ანალიზით და ამ შეფასების საფუძველზე განისაზღვრება ინდივიდუალური საკრედიტო ლიმიტები. ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის დიდი სავაჭრო მოთხოვნებისთვის გაუფასურების ანალიზი ხდება ინდივიდუალურად, ხოლო მცირე სავაჭრო მოთხოვნებისთვის ანალიზი ხდება კოლექტიურად. მომხმარებლების მიმართ დაუფარავი მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები რეგულარულად კონტროლდება, მსხვილი მომხმარებლებისთვის მიწოდებები, როგორც წესი, უზრუნველყოფილია ავტორიტეტული ბანკებისგან ან სხვა ფინანსური დაწესებულებებისგან მიღებული აკრედიტივებით ან კრედიტის სხვა ტიპის დაზღვევით. სავაჭრო დებიტორული დავალიანება, რომელიც არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული და ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული, წარმოდგენილია მე-15 შენიშვნაში.

#### ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი ძირითადად კონტროლდება ნაღდი ფულის განთავსებით საქართველოს უმაღლესი რეიტინგის მქონე ბანკებში, რომლებსაც კომპანიასთან უწყვეტი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები არც გაუფასურებულია და არც ვადაგადაცილებული.



## შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 22. რისკის მართვა (გაგრძელება)

##### სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კრედიტზე სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. კომპანიის ძირითადი სავალუტო რისკები დგება იმ ფაქტის გამო, რომ კომპანიას სესხები აღებული აქვს უცხოურ ვალუტაში და, ამასთან, ყიდულობს იმპორტირებულ საქონელს, ხოლო შესყიდვები უცხოურ ვალუტაში ხდება.

კომპანიის სავალუტო რისკები ასეთია:

| 31 დეკემბერი, 2018 წ.                           | აშშ დოლარი      | ევრო             |
|-------------------------------------------------|-----------------|------------------|
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება          | 225             | 2,117            |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები           | 124             | 240              |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება         | (23,337)        | (24,483)         |
| პროცენტებიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები | –               | (196,808)        |
| <b>ნეტო პოზიცია</b>                             | <b>(22,988)</b> | <b>(218,934)</b> |

| 31 დეკემბერი, 2017 წ.                           | აშშ დოლარი      | ევრო             |
|-------------------------------------------------|-----------------|------------------|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები           | 3,344           | 4,760            |
| სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება          | 141             | 9,816            |
| სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება         | (28,262)        | (16,313)         |
| პროცენტებიანი სესხები და გადასახდელი ანგარიშები | –               | (131,865)        |
| <b>ნეტო პოზიცია</b>                             | <b>(24,777)</b> | <b>(133,602)</b> |

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია 2018 წლის და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული, ასევე 2017 წლის 1 იანვრით დასრულებული წლებისთვის კომპანიის დასაბეგრი მოგების მგრძნობელობა სავალუტო კურსების სავარაუდო მერყეობის მიმართ, როცა ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივია (ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებების გამო):

|                       | სავალუტო<br>კურსის ცვლილება | ეფექტი დასაბეგრ<br>მოგებაზე |
|-----------------------|-----------------------------|-----------------------------|
| 31 დეკემბერი, 2018 წ. |                             |                             |
| აშშ დოლარი            | 11.00%                      | (2,529)                     |
| აშშ დოლარი            | -11.00%                     | 2,529                       |
| ევრო                  | 11.00%                      | (24,083)                    |
| ევრო                  | -11.00%                     | 24,083                      |

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

22. რისკის მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი (გაგრძელება)

|                              | სავალუტო<br>კურსის ცვლილება | ეფექტი დასაბეგრ<br>მოგებაზე |
|------------------------------|-----------------------------|-----------------------------|
| <b>31 დეკემბერი, 2017 წ.</b> |                             |                             |
| აშშ დოლარი                   | 13.50%                      | (3,345)                     |
| აშშ დოლარი                   | -9.50%                      | 2,354                       |
| ევრო                         | 17.50%                      | (23,380)                    |
| ევრო                         | -10.50%                     | 14,028                      |

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ კომპანიამ შეიძლება ვერ შეძლოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. ლიკვიდურობის რისკი იმართება მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზირებული ფულადი ნაკადების შეფასებით, პროგნოზირებული და ფაქტობრივი ფულადი ნაკადების მონიტორინგით, ასევე ფულადი რესურსების მისადაგებით ფინანსური ანგარიშგების ვადიანობის ანალიზთან.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არადისკონტირებული დაფარვის სახელშეკრულებო ვალდებულებების საფუძველზე:

| 31 დეკემბერი, 2018 წ.                | 3 თვეზე<br>ნაკლები | 3-დან 12<br>თვემდე | 1-დან 5<br>წლამდე | 5 წელზე<br>მეტი | სულ            |
|--------------------------------------|--------------------|--------------------|-------------------|-----------------|----------------|
| სესხები და გადასახდელი<br>ანგარიშები | 10,517             | 10,472             | 195,208           | 70,263          | 286,460        |
| სავაჭრო კრედიტორული<br>დავალიანება   | 28,056             | –                  | –                 | –               | 28,056         |
| სხვა მიმდინარე<br>ვალდებულებები      | 38,427             | –                  | –                 | –               | 38,427         |
| <b>სულ</b>                           | <b>77,000</b>      | <b>10,472</b>      | <b>195,208</b>    | <b>70,263</b>   | <b>352,943</b> |

| 31 დეკემბერი, 2017 წ.                | 30 დღეზე<br>ნაკლები | 3-დან 12<br>თვემდე | 1-დან 5<br>წლამდე | 5 წელზე<br>მეტი | სულ            |
|--------------------------------------|---------------------|--------------------|-------------------|-----------------|----------------|
| სესხები და გადასახდელი<br>ანგარიშები | 180                 | 6,423              | 168,940           | 77,824          | 253,367        |
| სავაჭრო კრედიტორული<br>დავალიანება   | 26,111              | –                  | –                 | –               | 26,111         |
| სხვა მიმდინარე<br>ვალდებულებები      | 45,957              | –                  | –                 | –               | 45,957         |
| <b>სულ</b>                           | <b>72,248</b>       | <b>6,423</b>       | <b>168,940</b>    | <b>77,824</b>   | <b>325,435</b> |

## შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 22. რისკის მართვა (გაგრძელება)

##### საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკს წარმოქმნის საპროცენტო განაკვეთის შესაძლო ცვლილებები, რომლებიც გავლენას იქონიებს ფინანსური ინსტრუმენტების ფულადი ნაკადების მომავალ მოძრაობაზე ან სამართლიან ღირებულებებზე. 2018 და 2017 წლებში კომპანიამ მიიღო EURIBOR-ზე დამოკიდებული, ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ნასესხები სახსრები და ამიტომ მას საანგარიშგებო თარიღისთვის აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკი. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია მგრძნობელობა შესაძლო გონივრული ცვლილების მიმართ:

| ვალუტა | ზრდა/კლება, %<br>2018 | გავლენა მოგებაზე<br>2018 |
|--------|-----------------------|--------------------------|
| ლარი   | -0.20%                | 394                      |
| ლარი   | 0.20%                 | (394)                    |

| ვალუტა | ზრდა/კლება, %<br>2017 | გავლენა მოგებაზე<br>2017 |
|--------|-----------------------|--------------------------|
| ლარი   | -0.25%                | 329                      |
| ლარი   | 0.25%                 | (329)                    |

##### ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

ხელმძღვანელობის აზრით, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მნიშვნელოვნად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებებისგან საანგარიშგებო თარიღისთვის.

ყველა ის ფინანსური აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულებაც შეფასებული ან გაცხადებულია, მესამე დონის იერარქიას არის მიკუთვნებული, გარდა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისა, რომლებიც პირველ დონეს მიეკუთვნებიან.

#### 23. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

## შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 23. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეთა შორის დადებული გარიგებების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში ასეთი იყო:

|                                                          | შესყიდვები<br>დაკავშირებული<br>მხარეებისგან | გაყიდვები<br>დაკავშირებულ<br>მხარეებზე | წმინდა<br>დებიტორული<br>დავალიანება /<br>(კრედიტორული<br>დავალიანება) |
|----------------------------------------------------------|---------------------------------------------|----------------------------------------|-----------------------------------------------------------------------|
| <b>2018</b>                                              |                                             |                                        |                                                                       |
| <b>HC AG-ის კონტროლს დაქვემდებარებული<br/>საწარმოები</b> |                                             |                                        |                                                                       |
| „მალტა ტრეიდინგ ლიმიტედი“ (ა)                            | 3,762                                       | –                                      | (5)                                                                   |
| იტალცემენტი ს.პ.ა. (ბ)                                   | 2,279                                       | –                                      | (1,883)                                                               |
| ჰაიდელბერგცემენტის ტექნოლოგიური ცენტრი<br>(გ)            |                                             | –                                      | (2,878)                                                               |
| HC Green Trading Limited                                 | 1,960                                       | –                                      | (3)                                                                   |
| შპს „თერჯოლა-კარიერი“                                    | 286                                         | 643                                    | (516)                                                                 |
| შპს „ინ-სი“                                              | 247                                         | –                                      | –                                                                     |
| შპს „ჯეო-ფილერი“                                         | 25                                          | –                                      | (21)                                                                  |
| <b>მფლობელი</b>                                          |                                             |                                        |                                                                       |
| HeidelbergCement AG (დ)                                  | 5,021                                       | –                                      | –                                                                     |
|                                                          |                                             |                                        |                                                                       |
|                                                          | შესყიდვები<br>დაკავშირებული<br>მხარეებისგან | გაყიდვები<br>დაკავშირებულ<br>მხარეებზე | წმინდა<br>დებიტორული<br>დავალიანება /<br>(კრედიტორული<br>დავალიანება) |
| <b>2017</b>                                              |                                             |                                        |                                                                       |
| <b>HC AG-ის კონტროლს დაქვემდებარებული<br/>საწარმოები</b> |                                             |                                        |                                                                       |
| „მალტა ტრეიდინგ ლიმიტედი“ (ა)                            | 2,930                                       | –                                      | (4)                                                                   |
| ჰაიდელბერგცემენტის ტექნოლოგიური ცენტრი<br>(გ)            |                                             | –                                      |                                                                       |
| HC Green Trading Limited                                 | 965                                         | –                                      | (3,588)                                                               |
| იტალცემენტი ს.პ.ა. (ბ)                                   | 658                                         | –                                      | (719)                                                                 |
| შპს „თერჯოლა-კარიერი“                                    | –                                           | –                                      | (347)                                                                 |
|                                                          |                                             | –                                      | (3,588)                                                               |
| <b>მფლობელი</b>                                          |                                             |                                        |                                                                       |
| HeidelbergCement AG (დ)                                  | 4,240                                       | 295                                    | (4,126)                                                               |

## შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

#### 23. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

| მიღებული სესხი                       | საპროცენტო ხარჯები |              | სესხები და გადასახდელი ანგარიშები |                       |
|--------------------------------------|--------------------|--------------|-----------------------------------|-----------------------|
|                                      | 2018               | 2017         | 31 დეკემბერი, 2018 წ.             | 31 დეკემბერი, 2017 წ. |
| <b>მფლობელი</b>                      |                    |              |                                   |                       |
| HeidelbergCement AG (მე-18 შენიშვნა) | 4,241              | 7,352        | 48,663                            | –                     |
| <b>სულ</b>                           | <b>4,241</b>       | <b>7,352</b> | <b>48,663</b>                     | <b>–</b>              |

- (ა) 2017 და 2018 წლებში კომპანია ქვანახშირს ყიდულობდა მალტა ტრედიდინგ ლიმიტედისგან.
- (ბ) იტალცემენტი ს.პ.ა., HeidelbergCement AG-ის მიერ კონტროლირებული საწარმო კომპანიას უზრუნველყოფდა სამშენებლო სამუშაოებისთვის საჭირო მუშახელით.
- (გ) კომპანიამ ჰაიდელბერგცემენტის ტექნოლოგიური ცენტრისგან მიიღო საკონსულტაციო მომსახურება კასპის წარმოების მშრალი ხაზის მშენებლობის პროექტთან დაკავშირებით. მომსახურება მოიცავდა გამომწვავი ღუმელის სხვადასხვა ტიპისა და მშენებლობის ვარიანტების ანალიზს და მასთან დაკავშირებულ საინჟინრო სამუშაოებს.
- (დ) HeidelbergCement AG-ისგან შესყიდვები წარმოადგენს ჯგუფის ზედნადებ ხარჯს და ჯგუფის სხვა დარიცხულ ხარჯებს.

#### გარიგებები ხელმძღვანელობის ზედა რგოლთან

კომპანიის ხელმძღვანელობის ზედა რგოლის ანაზღაურება 2018 წელს მოიცავდა ხელფასებს და პრემიებს და შეადგინა 1,700 ლარი (2017 წ.: 1,696 ლარი).

#### 24. აუდიტორის გასამრჯელო

კომპანიის აუდიტორის გასამრჯელო 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგენს 378 ლარს (დღგ-ის გარეშე) (2017 წ.: 311 ლარი).

#### 25. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

ახალი მშრალი მეთოდით წარმოების ღუმელის მშენებლობის პროექტი დასრულდა და ექსპლუატაციაში ჩაეშვა 2019 წლის 1 აგვისტოს.

2019 წლის განმავლობაში კომპანიამ დამატებითი გრძელვადიანი სესხი აიღო 24,318 ლარის ოდენობით ქართული კომერციული ბანკისგან.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს „იუაის“ მიერ 2019 წლის 30 სექტემბერს გამოშვებული ინგლისურენოვანი აუდიტის დასკვნის თარგმანს.

წინამდებარე თარგმანსა და აუდიტის დასკვნის ინგლისურენოვან ორიგინალს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურენოვან ტექსტს.

**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს  
კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული  
ანგარიში**

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 30 სექტემბერს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავვიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

რუსლან ხოროშვილი,

შპს „იუაი“ სახელით

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი, 2019 წ.




## ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 30 სექტემბერს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩაგვიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



რუსლან ხოროშვილი,

შპს „იუაი“ სახელით

თბილისი, საქართველო

30 სექტემბერი, 2019 წ.

# შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო წლისათვის

## 1. ზოგადი ინფორმაცია სუბიექტის შესახებ

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ (ს/კ 230866435) (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნებული და მოქმედი იურიდიული პირი.

კომპანიის იურიდიული მისამართია ყაზბეგის გამზირი 21, თბილისი, საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის საცემენტე კლინკერის, ცემენტის, ბეტონის წარმოება და რეალიზაცია.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია ფლობს სველი და მშრალი მეთოდით მწარმოებელი ცემენტის ინტეგრირებულ ორ ქარხანას ქ. რუსთავში და კასპში (საცემენტე კლინკერის და ცემენტის წარმოება), ცემენტის ერთ წისქვილს ქ. ფოთში (ცემენტის წარმოება), ბეტონის თორმეტ ქარხანას (თბილისში და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში), ასევე კომპანია ფლობს საცემენტე კლინკერის წარმოებისათვის საჭირო ბუნებრივი რესურსების საბადოებს.

„ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ საცემენტე კლინკერის, ცემენტისა და ბეტონის რეალიზაციას ახდენს საქართველოს ბაზარზე.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი იყო ნიდერლანდებში მოქმედი კომპანია „CaucasusCement Holding B.V.“ („უშუალო მშობელი კომპანია“).

კომპანია არის გერმანული კომპანია სს „ჰაიდელბერგცემენტის“ (Heidelbergcement AG) ჯგუფის წევრი. სს „ჰაიდელბერგცემენტის“ (Heidelbergcement AG) (გერმანია) არის მსოფლიოს ერთ-ერთი ლიდერი ცემენტის, ინერტული მასალებისა და ბეტონის წარმოებაში. სს „ჰაიდელბერგცემენტი“ საქართველოში სამეწარმეო საქმიანობას ეწევა 2006 წლის დასაწყისიდან.

ჰაიდელბერგცემენტის ჯგუფში შემავალ ქართული კომპანიებია:

- ▶ შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია (ს/კ 230866435)  
*სველი და მშრალი მეთოდით მწარმოებელი ცემენტის ინტეგრირებული 1 ქარხანა ქ. რუსთავში და 1 კასპში (საცემენტე კლინკერის და ცემენტის წარმოება), ცემენტის ერთი წისქვილი ფოთში (ცემენტის წარმოება), ბეტონის თორმეტი ქარხანა (თბილისში და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში).*
- ▶ შპს თერჯოლა კარიერი (ს/კ 204546811)  
*კირქვის კარიერი*

ჰაიდელბერგცემენტის ქართული საწარმოები არის საცემენტე კლინკერის (ცემენტის ძირითადი ნედლეული) ერთადერთი მწარმოებელი საქართველოში.

საცემენტე კლინკერის წარმოების პროცესი გულისხმობს სასარგებლო წიაღისეულის (კირქვა, თიხა) მოპოვებას, დაქუცმაცებას, სხვა ნედლეულის (მაგ. რკინის ნამწვი, ქვიშა) შერევას და მაღალ ტემპერატურაზე ( $1450^{\circ}\text{C}$ ) სპეციალური ღუმლების მეშვეობით საცემენტე კლინკერის გამოწვას/წარმოებას.

2018 წლის 4 აპრილს განხორციელდა ჰაიდელბერგცემენტის ჯგუფში შემავალ საწარმოთა რეორგანიზაცია, რომლითაც შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი“ (ს/კ 204430400) მიუერთდა შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ (ს/კ 230866435). მომხდარი შერწყმის (მიერთება) შედეგად შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ (ს/კ 230866435) გახდა მიერთებული საწარმოების უფლებამონაცვლე.

## 2. წარმოებული კვლევები და განვითარების გეგმები

შპს ჰაიდელბერგცემენტის ქართული კომპანიები ცემენტს აწარმოებენ ევროპული სტანდარტი EN197-1-ის მოთხოვნების მიხედვით, პარალელურად ლაბორატორიებში ცემენტის კონტროლი ხორციელდება ევროპული სტანდარტის EN196-ის სხვადასხვა ნაწილის მიხედვით (EN196-1; EN196-2; EN196-3; EN196-6; EN196-7 და ა.შ.), რომლებიც ითვალისწინებენ ცემენტის ფიზიკო-მექანიკური, ქიმიური და სხვა დაჭირო პარამეტრების დაგდენას.

შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას რუსთავის ცემენტის ქარხნის საგამოცდო ლაბორატორია ფლობს ეროვნულ აკრედიტაციას და აკრედიტაციის სფეროში გამოცდებში ჩადებული აქვს ევროპული სტანდარტების მიხედვით ცემენტის შემოწმების მეთოდები.

ასევე ბეტონის მიმართულებით კომპანიას ფონიჭალაში და ბათუმში ჰყავს აკრედიტირებული ლაბორატორიები, რომელიც ბეტონის და ბეტონის შემადგენელი მასალების ნიმუშების აღებას და ხარისხის გამოცდას ახდენენ ევროპული სტანდარტების (EN) მიხედვით.

2018 წელს მოხდა ჰაიდელბერგცემენტის ჯგუფში შემავალ საწარმოთა რეორგანიზაცია, კერძოდ შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას და შპს ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსის შერწყმა.

2019 წელს კომპანიამ შეიძინდა 1 ბეტონის ქარხანა ქ. ბათუმში.

2016 წლის ოქტომბრიდან შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას კასპის ცემენტის ქარხნის ტექნიკური მდგომარეობისა და გარემოზე ზემოქმედების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მიმდინარეობს 79 მლნ. ევროს წინასწარი ბიუჯეტის მქონე საინვესტიციო პროექტი, რომელიც ითვალისწინებს წლიურად 1 მილიონი საცემენტე კლინკერის წარმოებას. საინვესტიციო პროექტი დასრულდა 2019 წლის 1-ელ კვარტალში. ახალი ხაზი სრული დატვირთვით მოქმედებს.

2018 წელს კომპანიამ მთლიანად საკუთარ წარმოებაში გამოსაყენებლად აწარმოა 246.5 ტ. ქვიშა-ხრეში. ქვიშა-ხრეშის წარმოების გაფართოების მიზნით 2019-2020 წლებში იგეგმება დამატებითი ინვესტიციის განხორციელება.



### 3. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას ხელმძღვანელობს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო წლისთვის ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია დამოუკიდებელ აუდიტორი „იუაის“ დასკვნით.

2018 წლის შემოსავალი (ბრუნვა) 2017 წელთან შედარებით 2%-ით გაიზარდა, თუმცა საერთო ზარალი გაიზარდა 2-ჯერ, რაც ძირითადად განპირობებული იყო იყო 2018 წელს საწვავზე (ნახშირი და გაზი) და ელექტროენერგიაზე ფასების მატებით და საკურსო ზარალით. 2018 წელს კომპანიის გრძელვადიანი აქტივების ზრდის მიზეზი არის კასპიში მიმდინარე საინვესტიციო პროექტი.

2018 წელს კომპანიის მიერ წარმოება-რეალიზაციის მონაცემები არის შემდეგი:

| 2018 წ.    |                    |      | ჰაიდელბერგცემენტ<br>ჯორჯია |
|------------|--------------------|------|----------------------------|
| წარმოება   | საცემენტე კლინკერი | ტონა | 1.267.010                  |
|            | ცემენტი            | ტონა | 1.446.535                  |
|            | ბეტონი             | მ³   | 815.803                    |
| რეალიზაცია | საცემენტე კლინკერი | ტონა | 165.069                    |
|            | ცემენტი            | ტონა | 1.450.817                  |
|            | ბეტონი             | მ³   | 815.803                    |

კომპანიაში დანერგილია მმართველობითი აღრიცხვის სისტემა SAP ERP (Enterprise Resource planning) R/3, რომელიც არის მსოფლიო ბაზრის ლიდერი მსგავსი ტიპის სისტემებში.

პროგრამამ სრულად ჩაანაცვლა მანამდე მოქმედი ცალკეული სისტემები. პლატფორმამ მნიშვნელოვნად შეამცირა დოკუმენტბრუნვა, გააუმჯობესა ბიზნეს პროცესების მართვა, გახადა იგი უფრო მოქნილი და მოაქცია საერთაშორისო სტანდარტებში

კერძოდ, მოხდა შემდეგი მოდულების დანერგვა

CO → Controlling → მმართველობითი ანგარიშგებების მოდული

FI → Finance → ფინანსური მოდული

MM → Material Management → შესყიდვების მოდული

SD → Sales and Distribution → გაყიდვები და დისტრიბუცია

PM → Plant Maintenance → სარემონტო მოდული

ზემოთ ხსენებული მოდულების განახლებისა და სრულყოფის პროცესი მიმდინარეობს მუდმივად, ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან და ერთობლიობაში ქმნიან, მენეჯერებისათვის საუკეთესო ინსტრუმენტს კომპანიის შემოსავლების და ხარჯების კონტროლისათვის და კომპანიის ოპერაციების ეფექტურობის უზრუნველსაყოფად.

#### 4. სუბიექტის წინაშე არსებული ძირითადი რისკების (მათ შორის ფინანსური რისკები) და გაურკვევლობები და მათი მართვა

ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას მთლიანად ახორციელებს საქართველოს ბაზარზე. შესაბამისად, საქართველოს ცემენტის ბაზრის სტაბილურობა წარმოადგენს კომპანიის განვითარებისა და მიზნების მიღწევის წინაპირობას.

ცემენტის გაყიდვების სეზონურობის გათვალისწინებით კომპანიას ლიკვიდურობა კლებულობს ზამთრის სეზონის განმავლობაში. აღნიშნული რისკის მინიმიზაციის მიზნით კომპანიას გააჩნია ოვედრაფტის ხელშეკრულება ბანკთან.

ლიკვიდურობის რისკი იმართება მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პროგნოზირებული ფულადი ნაკადების შეფასებით, პროგნოზირებული და ფაქტობრივი ფულადი ნაკადების მონიტორინგით, ასევე ფულადი რესურსების მისადაგებით ფინანსური ანგარიშგების ვადიანობის ანალიზთან.

საფინანსო საქმიანობის პროცესში წარმოშობილი საკრედიტო რისკის მართვა ძირითადად ხდება ანგარიშების გახსნით მხოლოდ საქართველოს უმაღლესი რეიტინგის მქონე ბანკებში, რომლებსაც კომპანიასთან უწყვეტი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ. პროდუქციის რეალიზაციისას ძირითადი გადახდის პირობა არის ავანსი და/ან გარანტიით უზრუნველყოფილი მომდევნო გადახდა. სავაჭრო დებიტორული დავალიანებების შემთხვევაში კლიენტის საკრედიტო რეიტინგი ფასდება ანალიზით და ამ შეფასების საფუძველზე განისაზღვრება ინდივიდუალური საკრედიტო ლიმიტები.

## 5. გარემოსდაცვითი და დასაქმების საკითხები

„ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ საქმიანობის პროცესში ხელმძღვანელობს მდგრადი განვითარების პრინციპებით და მიზნად ისახავს მინიმუმამდე დაიყვანოს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება, კომპანიას შემუშავებული აქვს გარემოსდაცვითი პოლიტიკა, რომელიც თანხვედრაშია ჰაიდელბერგცემენტის გლობალურ გარემოსდაცვით პოლიტიკასთან და მიზნად ისახავს გარემოსდაცვითი საქმიანობის უწყვეტი გაუმჯობესებას. კომპანია ფლობს საჭირო გარემოზე ზემოქმედების ნებართვებს და გარემოს დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული სქემით ახორციელებს გარემოსდაცვითი საქმიანობის თვითმონიტორინგს.

კომპანიში მოქმედებს დასაქმებასა და კომპენსაციასთან, ასევე შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეგულაციები, რომელიც ეფუძნება ამ დარგში ჰაიდელბერგცემენტის ზოგად პოლიტიკას და რომელიც შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნათა სრული დაცვით.

**ხელმოწერილია ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 30 სექტემბერს:**

---

გენერალური დირექტორი  
მ. ჰამპელ

---

ფინანსური დირექტორი  
ე. ტყეშელაშვილი




## 5. გარემოსდაცვითი და დასაქმების საკითხები

„ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ საქმიანობის პროცესში ხელმძღვანელობს მდგრადი განვითარების პრინციპებით და მიზნად ისახავს მინიმუმამდე დაიყვანოს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება, კომპანიას შემუშავებული აქვს გარემოსდაცვითი პოლიტიკა, რომელიც თანხვედრაშია ჰაიდელბერგცემენტის გლობალურ გარემოსდაცვით პოლიტიკასთან და მიზნად ისახავს გარემოსდაცვითი საქმიანობის უწყვეტი გაუმჯობესებას. კომპანია ფლობს საჭირო გარემოზე ზემოქმედების ნებართვებს და გარემოს დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებული სქემით ახორციელებს გარემოსდაცვითი საქმიანობის თვითმონიტორინგს.

კომპანიაში მოქმედებს დასაქმებასა და კომპენსაციასთან, ასევე შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეგულაციები, რომელიც ეფუძნება ამ დარგში ჰაიდელბერგცემენტის ზოგად პოლიტიკას და რომელიც შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნათა სრული დაცვით.

ხელმოწერილია ჯგუფის ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 30 სექტემბერს:

  
გენერალური დირექტორი  
მ. კახელაშვილი

  
ფინანსური დირექტორი  
ე. ტყეშელაშვილი

## შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია

### 2018 წელს სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგება

1. სახელმწიფოს მიმართ გადახდილი სასარგებლო წიაღისეულის მოსაკრებელი

| კომპანია                                       | 2018 წელს<br>გადახდილი<br>მოსაკრებელი (ლარი) |
|------------------------------------------------|----------------------------------------------|
| შპს ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი (ს/კ 204430400) | 13.340                                       |
| შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია (ს/კ 230866435)    | 2.030.456                                    |

| მესაკუთრე                                   | წიაღისეულის<br>სახე | 2018 წელს გადახდილი<br>მოსაკრებელი (ლარი) |
|---------------------------------------------|---------------------|-------------------------------------------|
| შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია (ს/კ 230866435) | კირქვა              | 1.746.523,52                              |
| შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია (ს/კ 230866435) | თიხა                | 37.486,44                                 |
| შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია (ს/კ 230866435) | ტუფი                | 71.699,89                                 |
| შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია (ს/კ 230866435) | ქვიშა               | 164.464,70                                |
| შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია (ს/კ 230866435) | მარგანეცი           | 6.454,83                                  |
| შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია (ს/კ 230866435) | წყალი               | 3.826,66                                  |

2. სახელმწიფოს მიმართ გადახდილი რეგულირების საფასური

| კომპანია                                       | 2018 წელს<br>გადახდილი<br>რეგულირების<br>საფასური (ლარი) |
|------------------------------------------------|----------------------------------------------------------|
| შპს ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი (ს/კ 204430400) | 275                                                      |
| შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია (ს/კ 230866435)    | 2.805                                                    |

3. სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოებისა და სახელმწიფოს 50%-ზე მეტით წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების მიმართ გადახდილი ქირა

| გადამხდელი                    | გადამ.<br>კოდი | მიმღები                                                             | მიმღ.<br>კოდი | 2018 წელს<br>გადახდილი<br>ქირა (ლარი) |
|-------------------------------|----------------|---------------------------------------------------------------------|---------------|---------------------------------------|
| შპს ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუს | 204430400      | სსიპ კასპის მუნიციპალიტეტი                                          | 232555302     | 120,00                                |
| შპს ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუს | 204430400      | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და<br>ეკონომიკის სამინისტრო | 245429200     | 45.416,93                             |
| შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია   | 230866435      | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და<br>ეკონომიკის სამინისტრო | 245429200     | 14.235,29                             |
| შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია   | 230866435      | შპს ჯიარ ლოჯისტიკა და ტერმინალები                                   | 202462101     | 216.870,53                            |
| შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია   | 230866435      | შპს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია                       | 206237491     | 113.988,00                            |
| შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია   | 230866435      | სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო                           | 205005910     | 12.090,00                             |
| შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია   | 230866435      | სს საქართველოს რკინიგზა                                             | 202886010     | 15.468,24                             |
| შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია   | 230866435      | სსიპ კასპის მუნიციპალიტეტი                                          | 232555302     | 360,00                                |


გენერალური დირექტორი  
მ. ჰამპელ

ფინანსური დირექტორი  
ე. ტყეშელაშვილი

3. სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოებისა და სახელმწიფოს 50%-ზე მეტით წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების მიმართ გადახდილი ქირა

| გადახდილი                     | გადამ.<br>კოდი | მიმღები                                                             | მიმღ.<br>კოდი | 2018 წელს<br>გადახდილი<br>ქირა (ლარი) |
|-------------------------------|----------------|---------------------------------------------------------------------|---------------|---------------------------------------|
| შპს ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუს | 204430400      | სსიპ კასპის მუნიციპალიტეტი                                          | 232555302     | 120,0                                 |
| შპს ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუს | 204430400      | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და<br>ეკონომიკის სამინისტრო | 245429200     | 45.416,9                              |
| შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია   | 230866435      | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და<br>ეკონომიკის სამინისტრო | 245429200     | 14.235,2                              |
| შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია   | 230866435      | შპს ჯიარ ლოჯისტიკა და ტერმინალები                                   | 202462101     | 216.870,5                             |
| შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია   | 230866435      | შპს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია                       | 206237491     | 113.988,0                             |
| შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია   | 230866435      | სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო                           | 205005910     | 12.090,0                              |
| შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია   | 230866435      | სს საქართველოს რკინიგზა                                             | 202886010     | 15.468,2                              |
| შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია   | 230866435      | სსიპ კასპის მუნიციპალიტეტი                                          | 232555302     | 360,0                                 |

  
გენერალური დირექტორი  
მ. კანჭელ

  
ფინანსური დირექტორი  
ე. ტყემელაშვილი